ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲒᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 44-Ე ᲬᲚᲘ | № 231 (12743) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1963 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲛᲔᲦᲧᲝᲑᲠᲘᲐ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ

ᲡᲙᲙᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲡᲔᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲡ

ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძე!

ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლობის წარმატებით დამთავრებისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგის მონაწილენი მოხარული არიან მოახსენონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ მწყობრში ჩადგა შვიდწლედის კიდევ ერთი გოლიათი. ახალი გაზის მაგისტრალი არა მარტო უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით საქართველოს საიმედო მომარაგებას, არამედ ერთიან სისტემად დაუკავშირებს ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის გაზსადენებს.

ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენს ხალხში უწოდეს „მეგობრობის გაზსადენი“, და ეს მართლაც ასეა. მას აშენებდნენ რუსები და ქართველები, უკრაინელები და სომხები, აზერბაიჯანელები და ოსები—მრავალი ეროვნების ადამიანები, რომლებიც შეკავშირებული არიან საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტიის დროშით.

სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის „სამხრეთგაზსადენმშენის“ ტრესტის, საქართველოს მშენებლობის სამინისტროსა და კავშირგაბმულობის სამინისტროს, გაზის მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტისა და „თბილჰიდროპროექტის“ ინსტიტუტის კოლექტივებმა დაუპროექტეს და მოკლე ვადაში ააშენეს უნიკალური გაზსადენი, რომელსაც თავისი ტექნიკური სირთულით ვერ შეედრება ვერც ერთი გაზსადენი საზღვარგარეთ. ახალი გაზის მაგისტრალი გადის დარიალის ხეობაში, კვეთს კავკასიონის მთავარ ქედს 2.500 მეტრ სიმაღლეზე და მდინარეების არაგვისა და მტკვრის ხეობებით თბილისში მოდის.

გაზსადენის მშენებლებმა გადალახეს 309 მთის მდინარე, ხეობა, ღვარცოფის ნარიყი და სხვა დაბრკოლებანი, მდინარე თერგზე ააშენეს საბჭოთა კავშირში უდიდესი გაზსადენის საბაგირო ხიდები, სამი მდინარის ფსკერზე გაიყვანეს წყალქვეშა დუკერები. პირველად მილსადენთა მშენებლობის პრაქტიკაში გაზსადენი გაყვანილია გვირაბებში, რომელთა სიგრძე 2.200 მეტრია. უაღრესად რთულ პირობებში მშენებლებმა შეასრულეს 4,5 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები.

თბილისში აინთო სტავროპოლის გაზის ჩირაღდანი! ამ გამარჯვებას მშენებლები და მემონტაჟეები უძღვნიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46 წლისთავს. წინ ახალი დიდი ამოცანებია.

საზეიმო მიტინგის მონაწილენი სიტყვას აძლევენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ კვლავაც არ დაიშურებენ ძალღონეს, ცოდნასა და ენერგიას იმ დავალებათა შესრულებისათვის, რომლებიც სკკპ XXII ყრილობამ დასახა.

ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ �გᲐᲖᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ

1963 წლის 2 ოქტომბერი. ქ. თბილისი.

ᲒᲐᲖᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ

ᲐᲛ დღეს მოუთმენლად ელოდნენ საქართველოს მშრომელები. და აი მოვიდა იგი გაზიფხულივით თბილი, მზიანი. უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა 2 ოქტომბერს ნაშუადღევს ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნისაკენ მიმავალ მაგისტრალზე: აქ, ქალაქის განაპირა რაიონში, ჩრდილოეთ გაზგამანაწილებელ სადგურთან შეიკრიბნენ რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, რათა საზეიმო შეხვედრა მოეწყოთ ორჯონიკიძე-თბილისის გაზის მაგისტრალის მშენებელთათვის.

ვრცელ მოედანზე, გაზგამანაწილებელ სადგურთან, ათასობით თბილისელი შეიკრიბა. ყველა საუცხოო გუნებაზე. მაგრამ განსაკუთრებით საზეიმოდ გამოიყურებიან გაზსადენის მშენებლები, რომლებიც ამაყობენ თავიანთი ქმნილებით.

დიახ, აქვთ, რითაც უნდა იამაყონ, მწყობრში ჩადგა შვიდწლედის კიდევ ერთი გიგანტი, რომელიც ტექნიკური სირთულით უბადლოა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

დღის 5 საათი. ერთ-ერთ განშტოებაზე იხსნება ვენტილი. მაღალ მილზე ანთებენ ცისფერ ჩირაღდანს. გაისმის ძლიერი „ეაშა“.

ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ა. გეგეშიძე, შ. ი. ჭანყუვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, მ. მ. ლელაშვილი, რ. ი. ფრუიძე,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ი. მ. სტარჩენკო,** გაზსადენის მშენებელი მოწინავე მუშები და სპეციალისტები, თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები.

იწყება ორჯონიკიძე-თბილისის გაზის მაგისტრალის აშუშავებისადმი მიძღვნილი მიტინგი. მას ხსნის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ე. მელაძე.** იგი სიტყვას აძლევს სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის „სამხრეთგაზსადენმშენის“ ტრესტის მმართველს **გ. ა. ხარლამოვს.**

სსრ კავშირის გაზის მრეწველობისა და საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციების მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელითა და დავალებით, — ამბობს ამხ. ხარლამოვი, — მოხარული ვარ მოვახსენო სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას, რომ წარმატებით დამთავრდა და აშუშავდა შვიდწლედის დიდმნიშვნელოვანი ობიექტი — ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენი. ძნელი იყო გაზის ამ მაგისტრალის მშენებლობა. რთული რელიეფი, ხეობები, კლდეები, ზვავები, ბობოქარი ნაკადები ყოველ ნაბიჯზე უღობავდნენ გზას მშენებლებსა და მემონტაჟეებს. მთა პირველად გადაწყვიტეს იესეი რთული ამოცანები, როგორიც არის გვირაბების გაყვანა გაზსადენისათვის, მთის მდინარეების გადალახვა და ამ მდინარეებზე დუკერების გაჭიმვა, ზვავებისა და ღვარცოფის ნარიყისაგან გაზსადენის დაცვა და სხვ. ამ ტრასაზე მდინარე თერგზე აშენდა საბჭოთა კავშირში უდიდესი გაზსადენის საბაგირო ხიდები.

და დღეს სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა კოლექტივმა, რომლებიც მონაწილეობდნენ მაგისტრალის დაპროექტებაში, სამეიბო სამუშაოებსა და მშენებლობაში, პირნათლად შეასრულა თავისი ამოცანა.

ამხ. ხარლამოვმა დაასახელა სამმართველოები და ტრესტები, რომლებსაც გაზის მაგისტრალი გაჰყავდათ, მოწინავე შემდეგებლები, მეექსკავატორეები, ბულდოზერისტები, მემონტაჟეები, შოფრები, რომლებმაც ყველაზე კარგად გამოიჩინეს თავი გაზსადენის მშენებლობაზე.

პარტიამ და მთავრობამ იზრუნეს იმისათვის, რომ მშენებლები აღეჭურვათ მოწინავე საბჭოთა ტექნიკით, თან შეუქმნეს საყოფაცხოვრებო მუშაობის ყველა პირობა. ამხ. ხარლამოვმა მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ზრუნვისათვის, რომლითაც გარემოსილნი იყვნენ მშენებლები, დახმარებისათვის, რომელმაც ხელი შეუწყო გაზსადენის საექსპლოატაციოდ ვადამდე გადაცემას. ჩვენი კოლექტივი, — თქვა მან დასასრულ, — სიტყვას აძლევს მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ პირნათლად შეასრულებს ყოველ ახალ დავალებას.

ტრიბუნაზეა მოწინავე ბულდოზერისტი **ე. ეპიტაშვილი.** გაზსადენის მშენებლობაზე, — თქვა მან, — სულ ერთ წელიწადს ვიმუშავე. მაგრამ ეს წელი ჩემთვის დიდი სკოლა იყო. ჩემთან ერთად მხარდამხარ შრომობდნენ ჩემი ამხანაგები — რუსები, სომხები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები. ასე რომ ტყუილად როდი უწოდეს ხალხში ამ ტრასას „მეგობრობის ტრასა“.

მე და ჩემს მეგობრებს ერთი მიზანი გვქონდა — ვადამდე დაგვემთავრებინა

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-5 ᲒᲕ.)

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ გაზსადენის გაშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი თბილისში; მარჯვნივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში ჭრის ლენტს ჩრდილოეთ გაზგამანაწილებელ სადგურთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲐᲗ ᲣᲮᲕᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ Ქ. ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲨᲘ 1963 Წ. 26 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ძვირფასო ამხანაგებო! აქ შეიკრიბნენ სოფლის მეურნეობის დიდი მცოდნენი. თვალსაჩინო მეცნიერები, მიწათმოქმედების ოსტატები. მე მინდა თქვენ წინაშე აღვძრა სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი საკითხი, გამოვთქვა ჩემი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა გზებით გავადიდოთ რაც შეიძლება სწრაფად მარცვლეულის წარმოება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ყველანი ვეყრდნობით იმას, რომ მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია. მაშასადამე, ზრუნვა მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის პარტიის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ჩვენი ქვეყანა წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის გეგმებს. საბჭოთა ეკონომიკის განვითარება, მშრომელთა ცხოვრების დონის წლითიწლობით ამაღლება სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. კომუნისტურმა პარტიამ გაითვალისწინა, რომ ახლო მომავალში ერთიორად და ერთისამად უნდა გავზარდოთ მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოება.

პროგრამაში, რომელიც XXII ყრილობამ მიიღო, გათვალისწინებულია მარცვლის საერთო მოსავალი 1970 წელს 14 მილიარდ ფუთამდე გავზარდოთ, ხოლო 1980 წლისათვის — 18-19 მილიარდ ფუთამდე. ასეთ დონეს რომ მივაღწიოთ, საჭიროა ახლავე ნათლად გავითვალისწინოთ, რა წყაროების საშუალებით უნდა გავზარდოთ მარცვლეულის წარმოება, რა რეზერვები შეიძლება ავამოქმედოთ.

დღემდე მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანას უმთავრესად ვწყვეტდით სათესი ფართობების გადიდების გზით, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაფართოების გზას ვადექით.

და ეს სწორი ხაზი იყო. სანამ ჩვენს ქვეყანას არ ჰქონდა მინერალური სასუქები, ძველი იყო იმედი გვქონდა, რომ ერთიორად და ერთისამად გავადიდებდით მოსავლიანობას. უნდა გამოგვეყენებინა სხვა შესაძლებლობანი, და ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა უნარიანად გამოიყენეს ეს შესაძლებლობანი, თითქმის ერთიორად გაადიდეს რა მარცვლეულის წარმოება უკანასკნელ ათწლეულში.

რა თქმა უნდა, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კვლავაც გარკვეული რაოდენობით აითვისებენ ახალ მიწებს, განსაკუთრებით იქ, სადაც ამისათვის საჭირო არ არის დიდი კაპიტალური ხარჯები. მაგრამ დღეს მთავარი ის როდია, რომ გაფართოების გზით ვიაროთ. სოფლის მეურნეობის მატერიალური ბაზა ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ წლებში ძირეულად შეიცვალა. განსაკუთრებით დიდი ცვლილებები ხდება და კვლავაც მოხდება მიწათმოქმედების ქიმიზაციაში.

ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი აღმავლობის, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, მოსავლიანობის გადიდების რეალურ პერსპექტივას ქმნის.

მოსავლიანობის გადიდების ამოცანებს წინათაც სახავდა პარტია. მაგრამ მაშინ არ შეგვეძლო საჭირო სახსრები გამოგვეყო ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის, არ შეგვეძლო მინერალური სასუქებით უზრუნველგვყო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ახლა მდგომარეობა იცვლება. პარტია ფართო გზას უხსნის სასოფლო-სამეურნეო ქიმიას. ამ პირობებში მარცვლეული და სხვა კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი აღმავლობა, წარმოების ინტენსიფიკაცია ხდება მთავარი ამოცანა, გენერალური მიმართულება სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

რას ნიშნავს ინტენსიურად ვაწარმოოთ სოფლის მეურნეობა? მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს:

— ჯერ ერთი, მეტი პროდუქცია მივიღოთ ყოველ ჰექტარ მიწაზე. თუ საქმე ეხება მარცვალს, — უფრო უხვი მოსავალი მივიღოთ ყოველ ჰექტარ ნახნავზე. თუ საქმე ეხება მეცხოველეობას, — მეტი ხორცი და რძე ვაწარმოოთ ას ჰექტარ სავარგულებზე;

— მეორე, მექანიზაციის საფუძველზე გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, მივიღოთ მეტი მარცვალი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები შრომისა და სახსრების ნაკლები დახარჯვით.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლა კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი უბანია. რაც უფრო სწრაფად გავადიდებთ პროდუქციის წარმოებას ყოველ ჰექტარ მიწაზე, მით უფრო წარმატებით გადავჭრით სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანას.

ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲕᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲗ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲔᲑᲖᲔ

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახლა აპირებს განახორციელოს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ შევქმნათ მტკიცე ბაზა იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში მოგვყავდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების, და უწინარეს ყოვლისა მარცვლის, უხვი გარანტირებული მოსავალი. ამასთან, როგორც უკვე ითქვა, ჩვენ დავეყრდნობით არა სათესი ფართობების ოდენობას, არამედ მოსავალს, პროდუქციას.

რა გზით შეგვიძლია გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება? არის ორი რეალური წყარო. ეს არის მინერალური სასუქების წარმოების გადიდება და მარცვლეულის მეურნეობის გაფართოება სარწყავ მიწებზე.

ყველამ უნდა შევიგნოთ, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ორ წყაროს მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის, და გადაუდებელი ღონისძიებანი განვახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო ქიმიისა და სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების დარგში.

უნდა ითქვას, რომ მარცვლეულის მეურნეობის შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შეფასებას ზოგი ვინმე ჩვენში ძველი საზომით უდგება. დავიმოწმებ ასეთ ფაქტს.

რამდენიმე თვის წინათ მე ვთხოვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომუშავე ამხანაგებს წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებანი მინერალური სასუქების წარმოების გადიდების შესახებ, განესაზღვრათ, რამდენი და რა სასუქი გვჭირდება, რამდენი კაპიტალური დაბანდება დაგვჭირდება. მე მომცეს ცნობა. ცნობაში აღნიშნული იყო, რომ მარცვლეულის მეურნეობისათვის საჭიროა რაღაც 40 მილიონ ტონამდე მინერალური სასუქები. მაგრამ აქვე გამაფრთხილეს —ეს მოითხოვს უდიდეს კაპიტალურ ხარჯებს — 1 მილიარდ 700 მილიონ მანეთსო. საქმე ეხებოდა სოფლის მეურნეობის მთელი დარგის, სწორედ იმ დარგის საჭიროებებს, რომელიც ხალხს უზრუნველყოფს კვების პროდუქტებით, მგეგმავებს კი ხელები უცახცახებთ იმის ფიქრითაც კი, რომ სასოფლო-სამეურნეო ქიმიისათვის უნდა გამოჰყონ 1 მილიარდ 700 მილიონი მანეთი. იძულებული ვიყავი ამეხსნა ამხანაგებისათვის, რომ ასეთი თანხა არც თუ ისე დიდია ჩვენი ქვეყნისათვის, ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სასუქების ეფექტიანობა, ის უდიდესი სარგებელი, რასაც მათი გამოყენება გვაძლევს. არ უნდა დავიშუროთ სახსრები ამ მიზნისათვის. მაშინ მე დავასახელე მინერალური სასუქების მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა ციფრი — 3-4 მილიარდი მანეთი. ამის შემდეგ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკები, შეიძლება ითქვას, უფრო გაბედული გახდნენ და სასუქების წარმოების გეგმები უკვე სხვანაირად გამოიხატა.

მთელ პარტიას და ყველა საბჭოთა ადამიანს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რომ სასუქების წარმოება ახლა სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველთა საფუძველია. ვფიქრობ, მართებული იქნება აქ შედარება მოვახდინოთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან. იყო დრო, როცა გუთანი, კავი და ცხენი, შეადგენდნენ სოფლის მეურნეობის „ტექნიკურ“ ბაზას. საბჭოთა ხალხმა, მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის მოწოდებით მოკლე ვადაში შექმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ძლავრი მრეწველობა, უზრუნველყო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ტრაქტორებით, კომბაინებითა და სხვა თანამედროვე ტექნიკით. რასაკვირველია, შემდეგშიც არ უნდა დავიშუროთ ძალღონე სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვისათვის.

მაგრამ ამჟამად სოფლის მეურნეობის მექანიზაციას ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს, ვიდრე მანქანურ ტექნიკაზე გადასვლა. ისეთივე შეუპოვრობით და ისეთივე მიზანდასახულობით, როგორც სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ამოცანას ვახორციელებდით, უნდა გადავჭრათ მინერალურ სასუქებსა და სხვა ქიმიურ პროდუქტებზე სოფლის მეურნეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების პრობლემა. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მოკლე ვადაში შევასრულოთ ეს ამოცანა.

წლინახევრის წინათ მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მინერალური სასუქების წარმოების გადიდების შესახებ. მაშინ დაიგეგმა, რომ 1965 წელს მინერალური სასუქების გამოშვების მხრივ მიგვიღწია დონისათვის, რომელსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაღწია, რომლებიც 1962 წელს აწარმოებდნენ 35 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს. როგორც ჩანს, მალე გვექნება სასუქები ასეთი რაოდენობით. მიმდინარე წელს ჩვენ ვაწარმოებთ 20 მილიონ ტონა სასუქებს. ჩვენში 1963 წელს ამოქმედდება ახალი სიმძლავრეები 8 მილიონი ტონა სასუქების საწარმოებლად. გეგმით გათვალისწინებულია 1964 წელს გამოვუშვათ 24 მილიონი ტონა სასუქები. აქ, მართალია, ისმება ასეთი კითხვა: როგორ გავიგოთ, რომ სიმძლავრეები იზრდება 8 მილიონი ტონა სასუქებისათვის, სასუქების მატება კი დაგეგმილია მხოლოდ 4 მილიონი ტონით?

ქიმიური მრეწველობის მუშაკები საკმაოდ როდი ზრუნავენ ახალ სიმძლავრეთა ათვისებისათვის. ალბათ, ქიმიური მრეწველობის ხელმძღვანელთა მუშაობა უნდა შეეფასოთ იმის მიხედვითაც, თუ რა სწრაფად დგება მწყობრში ახალი საწარმოები, და იმის მიხედვითაც, თუ როგორ წარმოებს მათი სიმძლავრეების ათვისება.

1964 წელს განზრახული გვაქვს ავამოქმედოთ კიდევ 9 მილიონ ტონაზე მეტი სასუქების წარმოების სიმძლავრეები. როგორც ხედავთ, ვფიქრობთ ვიაროთ წინ საკმაოდ ფართო ნაბიჯით.

ამას წინათ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა მინერალური სასუქის წარმოების გადიდების ამოცანები. სახალხო მეურნეობის საბჭოს დავალება მიეცა დაჩქაროს მინერალური სასუქების წარმოების სიმძლავრეთა ამოქმედება. როგორც ჩანს, ამ საკითხის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მიმართავენ წერილით იმ ქარხნების მუშებსა და ინჟინრებს, რომლებიც აწარმოებენ მინერალურ სასუქებს, აგრეთვე მოწყობილობას მათთვის, მშენებლებს, მოუწოდებენ მუშებს, ტექნიკოსებსა და ინჟინრებს, კომკავშირსა და ახალგაზრდობას, საწარმოთა ხელმძღვანელებსა და მრეწველობის სხვა მუშაკებს ყოველი ღონე იხმარონ, რათა 1964 წელს უზრუნველყონ 9 მილიონ ტონაზე მეტი სასუქების წარმოების სიმძლავრეთა ნამდვილად რეალური მატება და შექმნან კარგი ბაზა მომავალი წლებისათვის.

თუ ვილაპარაკებთ უახლოეს პერსპექტივაზე, ჩვენი მიზანი ის არის, რომ 1970 წელს მივაღწიოთ 100 მილიონ ტონა მინერალური სასუქების წარმოების დონეს. რატომ უნდა დავიჩაროთ და გადავჭრათ ასეთი ამოცანა? თუ ვილაპარაკებთ მარცვლეულის წარმოების გადიდების რეალურ შესაძლებლობაზე, ეს შესაძლებლობანი უწინარეს ყოვლისა უნდა ვეძებოთ სასუქების ფართო გამოყენებაში.

თქვენ იცით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები 35 მილიონ ტონა სასუქებს აწარმოებენ. მათ აქვთ 118 მილიონი ჰექტარი სათესი ფართობები, ხოლო მოსახლეობა დაახლოებით 190 მილიონი კაცია. საბჭოთა კავშირში ვაწარმოებთ 20 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს, სათესი ფართობები 218 მილიონი ჰექტარია, მოსახლეობა კი — 225 მილიონი.

ამ ციფრებიდან ჩანს, რომ იმდენივე სასუქები რომ შევიტანოთ, რამდენიც ამერიკის შეერთებულ შტატებში შეაქვთ, მინერალური სასუქების საერთო წარმოება ერთიორად მეტი უნდა გვქონდეს, ვიდრე ამერიკელებს აქვთ. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს მომავალ სოციალისტური ქვეყნების მოთხოვნილებანი. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვენ, როგორც მსოფლიოს ძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოს, დახმარებისათვის მოგვმართავენ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ იმპერიალიზმზე ეკონომიურ დამოკიდებულებას.

ყოველივე ეს მოითხოვს იმას, რომ ფართო ფრონტით გავშალოთ ბრძოლა მინერალური სასუქების წარმოების გადიდებისათვის, მივაღწიოთ იმას, რომ ამ ამოცანის გადაჭრა მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმე გახდეს.

ახლა ჩვენ ვემზადებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის, რომელზეც ვაპირებთ განვიხილოთ ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხები. ეს პლენუმი, ალბათ, შეიკრიბება ნოემბრის დამლევს. ამ პლენუმზე მივიღებთ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ქიმიური მრეწველობის, როგორც ეკონომიკის უაღრესად პერსპექტივიანი დარგის, დაჩქარებული განვითარების შესახებ, მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების, სინთეზური ბოჭკოების წარმოების მკვეთრი გადიდების შესახებ და სხვ. ამის შემდეგ, შესაძლოა, მოვამზადებთ და გავმართავთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს სოფლის მეურნეობის საკითხებზეც, რათა დავსახოთ კონკრეტული გზები სკკპ პროგრამის განხორციელებისა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დარგში.

მინერალური სასუქების წარმოებას რომ ვზრდით, ამასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უაღრესად ეფექტიანად გამოვიყენოთ ყოველი კილოგრამი სასუქი.

მიმდინარე წელს ქიმიური მრეწველობა, როგორც უკვე ითქვა, გამოუშვებს 20 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს. ეს ცოტა როდია, თუ ყაიოათიანად, გონივრულად გამოვიყენებთ ამ სასუქებს. მაგრამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო სამმართველოების ბევრი ხელმძღვანელი ვერ აფასებს მინერალურ სასუქებს, დაუდევრად, ზოგჯერ კი პირდაპირ ბარბაროსულად ეკიდება მათ, ვერ ისწავლა ყველაზე დიდი სარგებლობა მიიღოს ყოველი ტონა სასუქისაგან. ჩვენში ზოგჯერ ასეც კი მსჯელობენ: აი შევიტანე მინერალური სასუქი, მოსავალი კი

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

ისეთივე მივიღე, როგორც უიმისოდ. ასეთი მუშაკი არ უფიქრდება, რატომ არ გაადიდა მოსავალი სასუქმა, იგი ივიწყებს იმ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ არასწორი გამოყენებისას სასუქი კარგავს თავის თვისებას, იხარჯება ფუჭად.

პრაქტიკაში, სამწუხაროდ, არის ხოლმე ასეთი სამარცხვინო მოვლენებიც: მეურნეობას გამოუყოფენ მინერალურ სასუქებს, ქარხნიდან მიაქვთ რკინიგზის სადგურში, ყრიან ვაგონიდან პირდაპირ ლიანდაგის პირას, და ეს სიმდიდრე თვეების განმავლობაში დევს, კარგავს თავის თვისებას. ჩვენ ბურჟუაზიულ პრესაში გვაკრიტიკებენ ასეთი უყაირათობისათვის, და სავსებით სამართლიანად. ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემაში წავიკითხე სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირის რკინიგზის ზოგიერთ სადგურში მინერალური სასუქების მთები წარმოიშობა, ისინი თოვლით იფარება. ამ მთებიდან ბავშვები ციგებით სრიალებენ. ეს წარმოუდგენელია ამერიკელი ფერმერისათვის. იგი ხომ ფულს ხარჯავს სასუქისათვის და იცის, რომ თუ მას არ გამოიყენებს, როგორც იტყვიან, გაკოტრდება. ამიტომ ფერმერი მინერალურ სასუქებს საწყობებში ინახავს, ხოლო მრეწველობა სასუქებს ფუთავს პოლიეთილენის ტომრებში. ფერმერი სასუქს უძვირფასესი მასალასავით უფრთხილდება.

მაგრამ თუ კაპიტალისტურ პირობებში ასე უფრთხილდებიან სასუქებს, სოციალისტურ მეურნეობაში კიდევ უფრო მეტი მომჭირნეობა გვმართებს. კაპიტალისტი ამ შემთხვევაში კომერციულ მხარეს უყურებს, იგი ცდილობს მეტი მოგება მიიღოს. ჩვენ კი მარტო კომერციული მხარე როდი უნდა გვაინტერესებდეს. უნდა ვიცოდეთ, რომ სასუქებს ქმნიან თავიანთი შრომით ადამიანები. რომ ვაწარმოოთ ტონა სუპერფოსფატი, უნდა ამოვიღოთ აპატიტები, დავამზადოთ გოგირდმჟავა, შევქმნათ მანქანები, რომ ყოველივე ეს გადავამუშაოთ სასუქად. და თუ მერე ეს პროდუქტი ლიანდაგის პირას რჩება სადგურში, ეს დანაშაულია ხალხის წინაშე, საზოგადოების გაძარცვაა. თუ დროზე არ შეიტანე სასუქი, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მოუსპე შესაძლებლობა მიიღოს ზედმეტი ტონა მარცვალი. აი რატომ უნდა მოვუწოდოთ წესრიგისათვის იმათაც, ვინც ნებას რთავს გადმოტვირთონ სასუქები ლიანდაგის პირას, იმათაც, ვინც არ ზრუნავს, რომ დროზე გაიტანონ და შეიტანონ სასუქები, დავსაჯოთ, როგორც ადამიანები, რომლებიც ზიანს აყენებენ კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს.

მინდა მოვიყვანო ერთი მაგალითი. იგი ცხადყოფს, თუ როგორ აფასებენ სასუქებს ისინი, ვისაც ესმის მათი მნიშვნელობა მოსავლიანობისათვის. მომდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი ფერმერი როსუელ ჰარსტი. ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში ყოფნის დროს იგი თვალყურს ადევნებდა სიმინდის თესვას. როცა დაინახა, რომ სიმინდს უსასუქოდ თესავდნენ, ჰარსტი ადშფოთდა: „რას სჩადიხართ? ხრუშჩოვთან გიჩივლებთ!“. მთესველმა დაიწყო თავის დაძვრენა, იძლეოდა ყოველგვარ ახსნა-განმარტებას. ჰარსტი კი თავისას იმეორებდა: „უნდა შეიტანოთ სასუქი, არ შეიძლება უსასუქოდ თესვა!“.

ამ შემთხვევაში, როგორც მიამბეს, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი არ ყოფილა დამნაშავე. საბჭოთა მეურნეობამ ვერ იშოვნა სასუქები და ვერ შეიტანა სიმინდის ყანებში. მაგრამ არის ხოლმე სხვა ფაქტებიც. ზოგჯერ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს დეპეშებს უგზავნიან საწარმოო სამმართველოებიდან, საყვედურებით ემუქრებიან, თუ არ გაიტანენ სადგურებიდან მინერალურ სასუქს. რა ხელმძღვანელია ეს, რომელსაც უნდა დაემუქრო, რომ სადგურიდან გაიტანოს მინერალური სასუქები. განა იგი იზრუნებს იმისათვის, რომ სწორად, საქმისათვის დიდი სარგებლობით შეიტანოს სასუქი ნიადაგში? სასუქები ხომ მისთვის ზედმეტი ტვირთია. მეურნეობის ასეთი ხელმძღვანელი, როგორც ჩანს, დახავსდა, მოსწყდა ცხოვრებას, მეცნიერებას, და მისი სწავლება მხოლოდ დროისა და ფულის ამაო ხარჯვაა. საჭიროა გადაჭრით შევცვალოთ ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც უყაირათოდ ეკიდებიან სასუქებს, ღუპავენ მათ და ამით უდიდეს ზარალს აყენებენ ხალხს, აფერხებენ ჩვენს წინსვლას.

ჩვენი ქვეყანა გაიზარდა. პარტიამ შესანიშნავი კადრები აღზარდა. ჩვენ მილიონობით ჭკვიანი, უნარიანი ადამიანი, ნიჭიერი ორგანიზატორი გვყავს, რომლებმაც კარგად იციან სასოფლო-სამეურნეო წარმოება, უფრო გაბედულად უნდა დავაწინაუროთ ისინი ხელმძღვანელ პოსტებზე. არ შეიძლება პასუხსაგებ პოსტებზე გვყავდეს ისინი, ვინც თავს სოფლის მეურნეობის მცოდნედ ასაღებს, მინერალურ სასუქებს კი არ აფასებს, აფუჭებს მათ. ნაცვლად ასეთი „მცოდნისა“ უკეთესია ავიყვანოთ ენერგიული ახალგაზრდა, ვასწავლოთ მას, თუ სუსტად ერკვევა სოფლის მეურნეობაში, და დავაყენოთ მეურნეობის სათავეში. ასეთი ხელმძღვანელი, რომელსაც სწორად ესმის დასახული ამოცანები, გაცილებით მეტ სარგებლობას მოგვიტანს, ვიდრე ზოგიერთი „მცოდნე“, რომელიც მინერალურ სასუქებს წვიმასა და თოვლს ატანს.

თვითეულმა ჩვენგანმა კარგად უნდა იცოდეს თავისი საქმე. თუ საქმე არ გიყვარს, თუ საჭირო ცოდნა არა გაქვს, ვერ დაეუფლები თუნდაც ყველაზე მარტივ პროფესიას. მახსოვს, როცა მუშა ვიყავი, რომელიმე დავალების შესასრულებლად საჭირო იყო კონუსის მონიშვნის ცოდნა. მოგვიანებით, როცა გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიას ვსწავლობდი, მივხვდი, რომ ეს უბრალოდ კეთდებოდა. წინათ კი, როცა გამოცდილი ოსტატი გვასწავლიდა, როგორ უნდა მოგვენიშნა ეს კონუსი, ამ დახმარებისათვის იძულებული ვიყავით ჯამაგირის აღების დროს დაგველევნებინა მისთვის ორ-ორი ტოლჩა ფუდი. **(მხიარული გამოცოცხლება).**

ახლა, რა თქმა უნდა, სხვა დროა. ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში უმეტესად მუშაობენ წიგნიერი, განათლებული ადამიანები. შესაძლებლობა გვაქვს ვასწავლოთ ადამიანს არა მექანიკურად შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო, არამედ ესმოდეს, რას აკეთებს, ზედმიწევნით იცოდეს საქმე. მხვნელ-მთესველნი, მაგალითად, გარკვეული უნდა იყოს იმ პროცესებში, რომლებიც ნიადაგში და მცენარეში მიმდინარეობს, უნდა იცოდეს ამა თუ იმ ქიმიური ნივთიერების თვისებები, როგორ მოქმედებს იგი მცენარეთა სამყაროზე.

ამხანაგებო! როცა სასუქების გამოყენების საკითხებს განვიხილავთ, ძინდა გითხრათ, თუ სად გამოვიყენოთ უფრო მიზანშეწონილად სოფლის მეურნეობაში ის სასუქები, რომლებიც უკვე ახლა აქვთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. რას ნიშნავს გვქონდეს 20 მილიონი ტონა მინერალური სასუქები? ეს ცოტაც არის და ბევრიც. თუ შევაფასებთ სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების თვალსაზრისით, მაშინ ეს რაოდენობა სასუქებისა ცოტაა. ხოლო თუ ამ სასუქებს ყველაზე ხელსაყრელ რაიონებში გამოვიყენებთ, მაშინ ეს არც ისე ცოტაა, შედეგი ფრიად მნიშვნელოვანი იქნება. როგორ ვიქცეოდით აქამდე? მხარისათვის ან ოლქისათვის გამოყოფდით სასუქებს რაღაც რაოდენობით და ცოტ-ცოტას ვუნაწილებდით თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას, მეურნეობაში კი სასუქებს თვითეულ ჰექტარზე ანაწილებდნენ, ისე, რომ არ უფიქრდებოდნენ — მოჰყვებოდა თუ არა ამას მოსავლის მატება. რას იწვევდა ეს? კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა ყიდულობდა სასუქებს, შეჰქონდა ნიადაგში, მაგრამ ეს ეფექტს არ იძლეოდა. გადაჭრით უნდა დავგმოთ ასეთი პრაქტიკა, ხელი უნდა ავიღოთ სასუქების განაწილებაზე პრინციპის მიხედვით: „ცოტ-ცოტა ყველას“.

ჯერჯერობით საკმარისად არა გვაქვს მინერალური სასუქები და ამიტომ არ შეიძლება ვანაწილებდეთ მათ მთელ 218 მილიონ ჰექტარ სათეს ფართობზე. ჩვენ უფრო სწორ გზას უნდა დავადგეთ. საჭიროა შევარჩიოთ რაიონები, სადაც მინერალური სასუქების გამოყენება ყველაზე მეტ ეფექტს მოგვცემს, და სწორედ ამ რაიონებში გავგზავნოთ სასუქები, რათა მათი გამოყენებით მივიღოთ მეტი მარცვალი და სხვა პროდუქტები.

თუ, მაგალითად, ერთ რაიონში ცენტნერი სასუქი სამ ცენტნერ მარცვლეულს იძლევა, მეორეში კი იგივე ცენტნერი სასუქი მხოლოდ ცენტნერ მარცვლეულს გვაძლევს, მაშინ სასუქები პირველ რიგში უნდა მივცეთ იმ რაიონს, რომელიც მოსავლის მეტ მატებას უზრუნველყოფს. ეს იქნება საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა.

მინდა მოვიყვანო ზოგიერთი გაანგარიშება, რათა უკეთ წარმოიდგინოთ, სად და რამდენი მარცვლეულის მიღება შეიძლება მინერალური სასუქების გამოყენებით, აგრეთვე სარწყავი მიწების ხარჯზე.

მაგალითისათვის ავიღოთ კრასნოდარის მხარე. აქ ჩინებული ნიადაგია, საკმარისია ტენი, აღიარებულია, რომ ყუბანის პირობებში ცენტნერი მინერალური სასუქი მოსავლის ყველაზე მეტ მატებას უზრუნველყოფს. ხოლო რას ნიშნავს ეს, რისი იმედი შეიძლება ვიქონიოთ, თუ კრასნოდარის მხარეში მარცვლეული კულტურების ნათესებში საჭირო რაოდენობით შევიტანთ სასუქებს? მხარის მთელი სათესი ფართობი 4 მილიონ 158 ათასი ჰექტარია. თქვენ განზრახული გაქვთ საშემოდგომო კულტურები დათესოთ 2 მილიონ ჰექტარზე, მათ შორის საშემოდგომო ხორბალი — 1 მილიონ 700 ათას ჰექტარზე და საშემოდგომო ქერი — 300 ათას ჰექტარზე.

წელს მხარეში საშემოდგომო კულტურების საშუალო მოსავალმა ჰექტარზე შეადგინა 26 ცენტნერი. თუ ჰექტარზე შევიტანთ 5-6 ცენტნერ მინერალურ სასუქებს, მაშინ ჰექტარზე შეიძლება მოვიყვანოთ 40 ცენტნერი მარცვლეული.

ამ ციფრს პირობით, გაანგარიშებისათვის ვიღებთ, თუმცა ყუბანის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, როგორც ჩანს, მეტი შესაძლებლობანი აქვთ. აქ არის ამხ. ლუკიანენკო — ჩვენი გმირი, შესანიშნავი სელექციონერი, რომელმაც გამოიყვანა უძვირფასესი ჯიშის საშემოდგომო ხორბალი „უფხო-1“. ამ ჯიშის ხორბალი მოწონებულია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამას წინათ იუგოსლავიაში ვიყავი და მესიამოვნა, როცა მითხრეს, რომ აქ „უფხო-1“-მა ისეთივე პოპულარობა მოიპოვა, როგორიც ჩვენში.

ამხ. ლუკიანენკო ექსპერიმენტულ მეურნეობაში ჰექტარზე 60 ცენტნერ ხორბალს იღებს. აიღეთ ულტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. წელს მათ 80 ათასი ჰექტარი ნათესის საშუალოდ ჰექტარზე აიღეს 38,9 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი. ამ სამმართველოში ყველა მარცვლეულის მოსავალმა 120 ათასი ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე შეადგინა 36,6 ცენტნერი. ასეთი მოსავალი მოიყვანეს ნიადაგის მინიმალური გაპოხიერებით. მაგრამ თუ ნიადაგში სასუქების სრულ ნორმას შევიტანთ, მოსავალი გაცილებით მეტი იქნება. ვფიქრობ მეთანხმებით ამაში, ისევე როგორც მეთანხმებით, რომ გაანგარიშების დროს სავსებით შეიძლება მხედველობაში ვიქონიოთ, რომ საშემოდგომო ხორბალი ჰექტარზე იძლევა 40 ცენტნერს.

ხოლო რას ნიშნავს ის, რომ კრასნოდარის მხარეში ჰექტარზე მივიღოთ 40 ცენტნერი საშემოდგომო კულტურები? ეს იმას ნიშნავს, ამხანაგებო, რომ იმის დამატებით, რასაც ახლა იღებთ, თვითეულ ჰექტარზე მიიღებთ 85 ფუთ მარცვლეულს, ხოლო 2 მილიონ ჰექტარ საშემოდგომო ნათესებში 170 მილიონ ფუთს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს უკვე საქონლო მარცვლეულია, რადგან მიმდინარე მოთხოვნილებებს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იკმაყოფილებენ იმ მოსავლით, რომელსაც ახლა იღებენ.

ახლა ავიღოთ თქვენი ძირითადი მარცვლეული კულტურა — სიმინდი. კრასნოდარის მხარეში სამარცვლე სიმინდს 300 ათასი ჰექტარი უჭირავს. წელს საშუალოდ ჰექტარზე 21 ცენტნერი მოგყავთ. მაგრამ აქ ცოტა როდია ისეთი მეურნეობები, რომლებმაც ორჯერ-სამჯერ მეტი მოსავალი მოიყვანეს. შოვგენოვკის საწარმოო სამმართველოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ბედანოკოვი აქ არის) ჰექტარზე 60 ცენტნერ სიმინდს იღებენ.

თუ სასუქებს გამრიყენებთ, შეძლებთ და კიდევაც უნდა მიიღოთ ჰექტარზე საშუალოდ 50 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. მაგრამ რას ნიშნავს მოვიყვანოთ ჰექტარზე 50 ცენტნერი სიმინდი? ეს ნიშნავს, რომ თვითეულ ჰექტარზე იმის დამატებით, რასაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იღებენ, მოვიყვანოთ 29 ცენტნერი, ანუ 175 ფუთი მარცვალი. 300 ათას ჰექტარ ნათესში დამატებით მიიღებთ 52 მილიონ ფუთ სიმინდს.

მაშასადამე, თუ ნიადაგში მინერალურ სასუქებს შეიტანთ, დამატებით მიიღებთ 170 მილიონ ფუთ საშემოდგომო პურეულს და 52 მილიონ ფუთ სიმინდს, სულ კი 222 მილიონ ფუთ მარცვლეულს. ვიმეორებ, ამ ნამატს მარტო მოსავლიანობის გადიდება იძლევა. მაგრამ ამას უნდა დავუმატოთ 200 მილიონი ფუთი, რაც თქვენ მიერ ნაკისრი ვალდებულებით წელს უნდა მიჰყიდოთ სახელმწიფოს. მთლიანად ეს 422 მილიონი ფუთი სასაქონლო მარცვალი გამოდის. მე აგრეთვე მითხრეს, რომ წელს თქვენ სახელმწიფოს მიჰყიდით არა 200, არამედ 215 მილიონ ფუთს. თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანისას მოსავლიანობის გადიდების შედეგად მიღებულ მატებას, მაშინ სასაქონლო მარცვლეულის საერთო რაოდენობა იქნება 437 მილიონი ფუთი. აი თქვენი რეზერვი, ამხანაგებო!

მოსავლიანობის გაანგარიშების დროს მე მხედველობაში მქონდა, რომ თქვენ საშემოდგომო ნათესებში შეიტანთ 5-6 ცენტნერ მინერალურ სასუქებს. როგორ ატყობთ, ღირს თუ არა მოგცეთ სასუქები?

ხმები ადგილებიდან. ღირს!

ნ. ს. ხრუშჩოვი: რას ნიშნავს ჩემი გაგება ღირს? სახელმწიფო საჭირო რაოდენობით მოგცემთ სასუქებს, თქვენ კი თქვენი მხრივ სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოთ 400-450 მილიონი ფუთი მარცვლეული.

და ეს ხელსაყრელი იქნება თქვენთვის, მხარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა უმალვე შეიცვლება, რადგან მარცვლეული კულტურების მოყვანის დანახარჯს დაემატება მხოლოდ მინერალური სასუქების ღირებულება და ნიადაგში მათი შეტანის ხარჯები. სასაქონლო მარცვლეულის წარმოება კი ორჯერ და უფრო მეტად გაიზრდება. მაშასადამე, ერთიორად და უფრო მეტად გადიდდება მარცვლეული მეურნეობებისაგან მიღებული შემოსავალი, მაშინ როცა შრომის დანახარჯი იგივე იქნება.

სულ ერთია შეგაქვთ თუ არა სასუქები, მაგრამ აუცილებლად ასრულებთ ისეთ სამუშაოებს, როგორიც არის ხვნა, თესვა, თესლის მომზადება. ახლა უკვე დახარჯულ შრომას უმატებთ სასუქს და ერთბაშად აორკეცებთ სასაქონლო პროდუქციის წარმოებას. აი როგორია საქმის ვითარება, აი რა მოაქვს სასუქებს ყუბანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. თქვენ შეგიძლიათ პირველი ადგილი დაიკავოთ მსოფლიოში იაფი მარცვლის მიღების მხრივ. გამოდის, რომ უკვე აგიტაციას გიწევთ, მაგრამ ვფიქრობ, არ გესაჭიროებათ განსაკუთრებული აგიტაცია. თვითონვე გესმით ამ საქმის ეკონომიური სარგებლობა. **(ტაში).**

წარმტაცია თქვენი პერსპექტივები, როგორც იტყვიან, ბევრი რამ გაქვთ, რასაც უნდა ჩაუფიქრდეთ, ბევრი რამ გაქვთ, რაზეც უნდა იმუშაოთ. მუშაობა კი ყუბანში იციან, და წელსაც თქვენ კარგ მაგალითს გვიჩვენებთ. კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 200 მილიონი ფუთი პური და უკვე მიჰყიდეს 175 მილიონი ფუთი, აქედან 133 მილიონი ფუთი ხორბალი. ბრინჯს მიჰყიდით 8.5 მილიონ ფუთს.

ეს ძალიან კარგია. საბჭოთა ხალხი მხურვალე მადლობას უძღვნის თქვენი მხარისა და სხვა ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის პურით უზრუნველყოფის საქმეში. **(მეჭუხარე ტაში).** ჩვენ აგრეთვე მადლობას ვუძღვნით სპეციალისტებსა და მეცნიერებს, რომლებმაც შექმნეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგი ჯიშები. **(ტაში).**

კრასნოდარის მხარეს, რომელსაც ჰყავს მიწათმოქმედების შესანიშნავი ოსტატები. სპეციალისტები, მეცნიერები, შეუძლია დასახოს და გადაწყვიტოს ამოცანა, რომ სახელმწიფოს ყოველწლიურად მიჰყიდოს 400-450 მილიონი ფუთი პური. ეს, ვიმეორებ, თქვენი პერსპექტივაა, თქვენი ხვალინდელი დღეა. და საჭიროა კარგად იშრომოთ, რათა ეს ციფრი რეალობად გადაიქცეს.

თქვენს ზონაში საშემოდგომო ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი ნამდვილი სიმდიდრეა. ეს სიმდიდრე სრულად უნდა გამოვიყენოთ. რა თქმა უნდა, მინერალური სასუქები უფრო ფართოდ უნდა გამოიყენოთ ხორბლის უხვი მოსავლის მისაღებად, მაგრამ ისე, რომ ტექნიკურ კულტურებს არ დააკლოთ. მინერალური სასუქები ამ კულტურებისთვის ცალკე გრაფით უნდა გამოიყოს.

ამხანაგებო! როცა ანალიზს ვუკეთებდი მოსავლიანობის გადიდების ჩვენს შესაძლებლობებს მინერალური სასუქების გამოყენების გზით, გაანგარიშება შევუფარდე კრასნოდარის მხარეს. მაგრამ ისეთი რაიონები, სადაც სასუქები იძლევა ყველაზე დიდ შედეგს, ჩვენში ბევრია. ეს ნიშნავს, რომ ყველაზე ხელსაყრელ რაიონებში სასუქების კონცენტრირებული გამოყენების ამოცანა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

აკადემიკოს ვ. ვ. ლუკიანენკოს არაერთხელ უთქვამს და ინსტიტუტის მეურნეობის მაგალითით დაამტკიცა, რომ სასუქების შეტანის გზით ყუბანში შეიძლება დამატებით მივიღოთ 15-17 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე. უკრაინის ტყიანელიან რაიონებში მინერალური სასუქების გამოყენების ეფექტიანობის შესახებ ანალოგიური მონაცემები მოიყვანეს აკადემიკოსმა ი. ფ. ბუზანოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თათბირზე და სხვებმა.

მეცნიერებისა და პრაქტიკის მონაცემებზე დაყრდნობით კარგად უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ გამოვიყენოთ უკეთ მინერალური სასუქები მომავალი წლის მოსავლისათვის, აუცილებლად გამოვიყენოთ ყოველი ცენტნერი სასუქი.

წინასწარი გამოანგარიშებით, 1964 წელს სახელმწიფოს მარცვლეული კულტურებისათვის შეუძლია გამოჰყოს 10 მილიონი ტონა მინერალური სასუქები. რა ეფექტს მიიღებს სოფლის მეურნეობა, თუ ამ სასუქებს მივცემთ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სადაც მათი გამოყენება შეიძლება მეტი სარგებლობითა და შედეგით.

მეცნიერებამ დაამტკიცა, ხოლო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ერთი ცენტნერი მინერალური სასუქის შეტანა დამატებით იძლევა ორ-სამ ცენტნერ მარცვალს. მაშასადამე, ტონა სასუქი ორი-სამი ტონა მარცვალია, ხოლო 10 მილიონი ტონა — 20-30 მილიონი ტონა მარცვალი, ანუ 1 მილიარდ 200 მილიონი — 1 მილიარდ 800 მილიონი ფუთი დამატებითი პური.

ხელსაყრელ პირობებში ჰექტარზე ხუთი ცენტნერი მინერალური სასუქების შეტანისას, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ და დასტურდება პრაქტიკით, შეიძლება დამატებით მივიღოთ საშემოდგომო ხორბალი: ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში 15-17 ცენტნერი ჰექტარზე, ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ოლქების რაიონებში — 10 ცენტნერი, უკრაინის სსრ ტყიანელიან და ტყიანი დაბლობების რაიონებში — 12 ცენტნერი ჰექტარზე.

ეს სავსებით რეალური ციფრებია, ამ ციფრებს საფუძვლად უდევს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება. მაგრამ აქ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ამ რაიონების ნიადაგისა და ჰავის პირობების დიდი სიჭრელე და განსაკუთრებით ხელმძღვანელი ადრების დიდი სიჭრელე. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ზონაში, რომელიც ხელსაყრელია მარცვლეული კულტურების ნათესებში სასუქების შესატანად, 1962 წელს ხორბალი დათესეს 11 მილიონ ჰექტარზე.

თუ რა ეფექტს მივიღებთ მინერალური სასუქების შეტანით, ჩანს შემდეგი მონაცემებით:

	ჩრდილოეთ კავკასიის რაიონები (როსტოვის ოლქსა და ყალმუხეთის ჯსს რესპუბლიკის გამოკლებით)	ცენტრალური შავმიწადაგიანი ოლქის რაიონები (ივანოვოს, ტამბოვის, კურსკის, ლიპეცკის, ორიოლის და სხვა ოლქები)	უკრაინის ტყეტაფლისა და ტყიანი დაბლობების რაიონები	ბაშკირიისა და თათრეთის ჯსს რესპუბლიკები, გორკისა და სხვა ოლქები	სულ
ხორბლის სათესი ფართობი (მილიონი ჰექტარი)	3,2	1,8	3,3	2,7	11,0
5 წლის საშუალო მოსავლიანობა (ცენტნერი ჰექტარზე)	18	15	18	10	—
მარცვლეულის საშუალოწლიური საერთო მოსავალი 5 წლის მანძილზე (მილიონი ფუთი)	351	168	362	165	1.046
ერთ ჰექტარზე 5 ცენტნერი მინერალური სასუქების შეტანისას შეიძლება მივიღოთ მარცვლეული (ცენტნერი ჰექტარზე)	35	25	30	18	—
საერთო მოსავალი (მილიონი ფუთი)	683	275	604	296	1.858

მაშასადამე, თუ ამ ზონებში ერთ ჰექტარ ნათესში ხუთ ცენტნერ მინერალურ სასუქებს შევიტანთ, ხორბლის საერთო მოსავალი 1 მილიარდ 46 მილიონი ფუთიდან 1 მილიარდ 858 მილიონ ფუთამდე გაიზრდება, ანუ დამატებით მივიღებთ 800 მილიონ ფუთ ხორბალს. ამისათვის დაგვჭირდება 5-6 მილიონი ტონა სასუქი. როგორ გამოგვადგებოდა ახლა 800 მილიონი ფუთი მარცვალი, ჩვენ კი შეგვეძლო გვქონოდა იგი, უფრო მეტი ყურადღება რომ გამოგვეჩინა წარმოებისადმი და უფრო გონივრულად მივდგომოდით მინერალური სასუქების გამოყენებას.

საჭიროა, რომ უფრო ხელსაყრელი პირობების მქონე რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაუყოვნებლივ გაშალონ ბრძოლა სასუქების უკეთ გამოყენებისათვის. ამისათვის დიდად მნიშვნელოვანია მოწინავე მეურნეობების გამოცდილება.

მაგალითად, კურსკის ოლქში ბევრი მეურნეობა საშუალოდ 12-13 ცენტნერ მარცვლეულს იღებს ჰექტარზე, მაგრამ იმავე ოლქში არის მეურნეობები, რომლებიც ეფექტიანად იყენებენ სასუქებს და ერთიორად მეტ მოსავალს იღებენ. დმიტრიევსკის საწარმოო სამმართველოს სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობამ წელს ცუდი ამინდის პირობებში მიიღო: საშემოდგომო ხორბალი — 21 ცენტნერი ჰექტარზე, ჭვავი — 24, ქერი — 20, ბარდა — 24 ცენტნერი ჰექტარზე. ამავე დროს მთლიანად კურსკის ოლქში მარცვლეულის მოსავალი დაახლოებით ჰექტარზე 10 ცენტნერი იქნება. ესეც თქვენი მიწათმოქმედების კულტურა! სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობაში კარგად ვითარდება მეცხოველეობა, მეურნეობაში ბევრია ნაკელი. ყანებში ნაკელისა და მინერალური სასუქების შეტანა საშუალებას იძლევა მიიღონ უხვი მკარი მოსავალი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კურსკის ოლქში მე არ ვურჩიე „უფხო-1“ ჯიშის ხორბალი დაეთესათ. ვფიქრობ, რომ ამ ჯიშის ავტორი, ამხანაგი ლუკიანენკო არ დამემდურება: ეს იმისათვის გაკეთდა, რომ სახელი არ გაუტყდეს კარგ ჯიშს, ის ხომ მაინც სამხრეთისაა, კურსკის ოლქში კი 30 გრადუსი ყინვა იცის. იქ გამოიყენეს ჯიში — „მირონოვკა-808“. სარკელ ნაკვეთებზე ჰექტარზე 48 ცენტნერი მოიღეს. „ულტეკო-43“ ჯიშის ხორბალმა მოგვცა 33 ცენტნერი ჰექტარზე, ხოლო დარაიონებულმა ჯიშმა — 22 ცენტნერი ჰექტარზე. ეს გასაგებიც არის, „მირონოვკა-808“ — ველის ჯიშია, რომელიც ადვილად იტანს უთოვლო ზამთარს.

ახლა, როცა ვისახავთ ამოცანას დიდი რაოდენობით გამოვიყენოთ სასუქები ყველაზე ხელსაყრელ ზონებში, უნდა ავამაღლოთ ჩვენი კადრების პასუხისმგებლობა, მეტი მოვთხოვოთ მეურნეობების ხელმძღვანელებს, ვიზრუნოთ, რომ ყველა საფეხურის მუშაკებმა იცოდნენ, თუ როგორ უკეთ გამოიყენონ სასუქები.

სამწუხაროდ, ჩვენში არის ისეთი მაგალითები, როდესაც ამა თუ იმ მეურნეობაში სასუქები შეაქვთ მინდვრებში, მოსავალი კი კვლავ მცირე რჩება.

მოვიყვან საყურადღებო მაგალითს. საქმე შეეხება არა უბრალო გლეხს და არც საშუალო კოლმეურნეობას, არამედ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საცდელ მეურნეობას — საბჭოთა მეურნეობა „მიხაილოვსკოეს“. აი როგორ იყენებენ იქ სასუქებს და როგორია მეურნეობის მუშაობის შედეგები ბოლო ორი წლის მანძილზე:

	1962 წ.	1963 წ.
შეტანილია მინერალური სასუქები ერთ ჰექტარ ნათესში (ცენტნერობით)	5,3	4,2
მიღებულია მოსავალი (ჰექტარზე ცენტნერობით) საშემოდგომო	11,8	12,5
საგაზაფხულო — სულ	6,9	19,3
მათ შორის:		
ბარდა	6,7	17,3
ქერი	12,5	21,9
შვრია	11,4	21,3
სამარცვლე ცერცველა	დაიღუბა	18.5
მთელი მარცვლეულის საშუალო მოსავალი (ჰექტარზე ცენტნერობით)	9,9	17

როგორც ხედავთ, მიმდინარე წელს სასუქები უფრო ნაკლები რაოდენობითაც კი არის შეტანილი, ვიდრე შარშან, ხოლო მოსავალი თითქმის ერთიორად მეტია. ამიტომ, საქმე სასუქზე როდია, არამედ ადამიანებზე, რომლებიც მას იყენებენ. როდესაც სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი ამხ. ვოლოვჩენკო გაერკვა საცდელი მეურნეობის მდგომარეობაში, დაინახა, რომ სასუქები შეჰქონდათ ისე, რომ არ იცოდნენ რამდენად მოითხოვდა ამას ნიადაგი და მცენარეები, არ იცავდნენ საუკეთესო ვადებს. საკმარისი გახდა ესწავლებინათ კადრებისათვის, ეჩვენებინათ ადამიანებისათვის, თუ რა და როგორ გაკეთდეს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა.

აქედან ჩანს, რომ კადრების შერჩევა, მათი სწავლება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა. ზოგიერთ კარგ მუშაკსაც კი ჯერ ვერ შეუგნია მინერალური სასუქების მნიშვნელობა. ვფიქრობ, ეს მათ უნდა განუმარტონ სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, საცდელმა სადგურებმა, საწარმოო სამმართველოებმა.

ყველა თქვენგანი თითქოს აღიარებს, რომ საჭიროა სასუქების მიზანდასახული გამოყენება. მთავარია, რომ საწარმოო სამმართველოებმა გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა. მინდა ხაზი გავუსვა, რომ სასუქების განაწილება დიდი პოლიტიკური საკითხია. სასუქი უნდა მივყიდოთ არა საერთოდ მხარეს, არა საერთოდ საწარმოო სამმართველოს, არამედ კონკრეტულ მეურნეობას — კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, ამასთან იმ მეურნეობას, რომელიც მინერალური სასუქების გამოყენებით უზრუნველყოფს დამატებით მიიღოს მარცვლის გარკვეული რაოდენობა.

საჭიროა შევიმუშაოთ შესაბამისი დოკუმენტი, მაგალითად, მინერალური სასუქების მიყიდვის საკონტრაქტაციო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ერთი მხარე — ამ შემთხვევაში საწარმოო სამმართველო და „სოფლტექნიკა“ — კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას გარკვეული რაოდენობით აძლევს სასუქებს, ხოლო მეორე მხარე — ამ შემთხვევაში კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა — ვალდებულებას კისრულობს ამ სასუქების გამოყენებით გაადიდოს მოსავალი და საახელმწიფოს დამატებით მიჰყიდოს ამდენი და ამდენი მარცვალი. სასუქს, ასე ვთქვათ, თამასუქით ვაძლევთ, რომელიც შემოდგომაზე უნდა გაანაღდონ მარცვლით ან ს

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

რაც მთავარია, დიდი ყინვების დროს მიწა თოვლით არ იყო დაფარული. ამიტომ საშემოდგომო პური, უმთავრესად ხორბალი, დიდ ფართობზე ან მთლად დაიღუპა ანდა გამეჩხერდა. იძულებული ვიყავით იქ ხელახლად დაგვთესა სხვა კულტურები. ამან მკვეთრად შეამცირა ჩვენი შესაძლებლობანი მიგვეღო კარგი მოსავალი.

გარდა ამისა, ზაფხულიც საკმაოდ მშრალი და ცხელი აღმოჩნდა. სწორედ მცენარეთა ვეგეტაციისა და მარცვლის დამწიფების პერიოდში მაღალი ტემპერატურა იყო, წვიმა არ მოსულა, რამაც უარყოფითად იმოქმედა მცენარეთა განვითარებაზე, განსაკუთრებით მარცვლის დამწიფებაზე. არახელსაყრელი ამინდი გავრცელდა ჩვენი ქვეყნის არა მარტო ევროპული ნაწილის უზარმაზარ ტერიტორიაზე, არამედ აგრეთვე ყაზახეთში, ციმბირსა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ყოველივე ამის შედეგად 1963 წელს ძნელი ვითარება შეიქმნა, და ჩვენ ვერ მივიღებთ იმდენ პურს, რამდენსაც ვვარაუდობდით. ამ პირობებში სკკპ ცენტრალური კომიტეტი იძულებული იყო მიემართა პარტიისათვის, ხალხისათვის, რათა უფრო ეკონომიურად ვხარჯოთ მარცვალი როგორც სასურსათო მიზნებისათვის, ისე პირუტყვის საკვებად, აგრეთვე ტექნიკური საჭიროებისათვის.

ჩვენ სასურსათო მარცვალი საზღვარგარეთ ვიყიდეთ. 6 მილიონ 800 ათასი ტონა ხორბალი ვიყიდეთ კანადაში და 1 მილიონ 800 ათასი ტონა ავსტრალიაში, აგრეთვე მარცვლის მცირე რაოდენობა სხვა ქვეყნებში.

მადლობას ვუხდით რუმინელ ამხანაგებს იმისათვის, რომ ძმური დახმარება გაგვიწიეს და სესხის სახით გამოგვიყვეს 400 ათასი ტონა ხორბალი.

იმ პირობით, თუ ეკონომიურად დავხარჯავთ პურს, ეს რესურსები საკმარისი იქნება მოსახლეობის ნორმალური მომარაგებისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ამჟამად ახორციელებენ ღონისძიებებს, რომ მომავალში უზრუნველვყოთ მარცვლის საჭირო რაოდენობით მოყვანა. ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა მინერალური სასუქები. თუ მინერალურ სასუქებს საკმაო რაოდენობით შევიტანთ, შეგვიძლია გავადიდოთ მოსავლიანობა. საჭიროა აგრეთვე განვავითაროთ ირიგაცია. ირიგაციისა და მინერალური სასუქების გამოყენებით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შექმნიან მარცვლის საკმაო სადაზღვევო ფონდს. მაშინ არახელსაყრელი ამინდის პირობებშიც კი არ აღმოჩნდება ჩვენი ქვეყანა ძნელ მდგომარეობაში.

ჩვენმა სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შექმნას მარცვლის კარგი სადაზღვევო ფონდი. და ჩვენ შევქმნით მას. ეს საბჭოთა ეკონომიკას დაიცავს იმ შედეგებისაგან, რასაც იწვევს მოსავლიანობის მერყეობა მეტეოროლოგიური პირობებით არახელსაყრელ წლებში.

ამგვარი სადაზღვევო ნათესებია მარცვლეული კულტურები სარწყავ მიწებზე- — ბრინჯი, სიმინდი, საშემოდგომო ხორბალი და სხვები.

ჩემი აზრით, მარცვლეულიდან სწორი იქნება პირველ პლანზე დავაყენოთ ბრინჯი, რადგან იგი სარწყავი მიწათმოქმედების უმნიშვნელოვანესი კულტურაა. ბრინჯი კარგად ანაზღაურებს დანახარჯებს. სარწყავ მიწებზე შესანიშნავად იზრდება სიმინდი. იგი, როგორც წესი, მარცვლისა და მწვანე მასის უხვ მოსავალს იძლევა. ხორბალიც მორწყვისას ასევე გარკვეულ ეკონომიურ ეფექტს იძლევა.

სარწყავ მიწებზე რამდენი მარცვლეული უნდა მიიღოს ჩვენმა ქვეყანამ? კარგი იქნება ვაწარმოოთ ერთნახევარი-ორი მილიარდი ფუთი. ჯერ არ ვასახელებ დროს, როდესაც შევძლებთ ამ რაოდენობით მივიღოთ გარანტირებული მარცვალი სარწყავ მიწებზე. ეს დამოკიდებულია ჩვენს შესაძლებლობებზე, კაპიტალური დაბანდების მოცულობაზე, საირიგაციო სამუშაოთა გაშლის ტემპზე. საჭიროა კარგად გაიანგარიშონ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, გაითვალისწინონ ჩვენი მატერიალური რესურსები. რაც უფრო მალე მივიღებთ მეტ მარცვალს სარწყავ მიწებზე, მით უკეთესი.

რწყვის განვითარება ვ. ი. ლენინის იდეების განხორციელებაა. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინმა აღძრა საკითხი, რომ საჭიროა შემუშავდეს მიწების მორწყვის პროგრამა. 1921 წლის აპრილში ვლადიმერ ილიას-ძე სწერდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს: „იმის გამო, რომ მეტად გადაუდებელია გვალვასთან ბრძოლის ღონისძიებათა საკითხი, გთხოვთ დაუყოვნებლივ მოიწვიოთ დაინტერესებული სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირი, რათა დეკრეტის შემუშავებული და შეთანხმებული პროექტი შევიტანოთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში არა უგვიანეს ოთხშაბათისა, 1921 წლის 27 აპრილისა“.

1921 წლის 29 აპრილს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელსაც ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი. დადგენილებაში ნათქვამი იყო: „ჩაითვალოს, რომ გვალვასთან ბრძოლა უპირველესი მნიშვნელობის საქმეა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებისათვის და ღონისძიებებს ამ მიმართულებით საბრძოლო მნიშვნელობა აქვს“.

უფრო ადრე, 1918 წლის მაისში, ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს თურქესტანში სარწყავ სამუშაოთა ორგანიზაციის შესახებ. მცირე ბიუჯეტიდან, რომელიც მაშინ ჰქონდა სახელმწიფოს, ირიგაციისათვის გამოიყო 50 მილიონი მანეთი. თქვენ კარგად გესმით, ამხანაგებო, რომ ჩვენი მაშინდელი სიღატაკისა და რღვევის პირობებში ეს მხოლოდ სიმბოლიური მოქმედება იყო, რადგან მატერიალური რესურსები იმ დროს ჩვენს ქვეყანას არ ჰქონია. მაგრამ რა მკაფიოდ მოწმობს ყოველივე ეს, თუ როგორ ზრუნავდა ლენინი ისეთი უმნიშვნელოვანესი საქმისათვის, როგორიც არის სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება.

პარტიამ და ხალხმა კოლოსალური მუშაობა გასწიეს ვ. ი. ლენინის მითითებათა განსახორციელებლად. სარწყავი მიწათმოქმედება უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებში ეკონომიკის, განსაკუთრებით ბამბის წარმოების განვითარების მძლავრი წყარო გახდა.

ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდება სარწყავ მიწებზე კვლავაც ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნება. ამასთანავე ამჟამად ჩვენში იქმნება რეალური შესაძლებლობანი ფართოდ მოვაწყოთ მარცვლეულის მოყვანა სარწყავ მიწებზე.

რა ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მარცვლეული კულტურების წარმოებას სარწყავ მიწებზე? სარწყავ მიწებზე შეიძლება მივიღოთ მარცვლის გარანტირებული მოსავალი, როგორც წესი, ერთიორად მეტი, ვიდრე ურწყავ მიწებზე. ხოლო არის რაიონები, სადაც სარწყავ მიწებზე შეიძლება ორი მოსავალი მოვიყვანოთ წელიწადში. მაშასადამე, სარწყავი მიწების საშუალებით შეიძლება მკვეთრად გავზარდოთ პროდუქციის წარმოება ჰექტარზე და, რაც მთავარია, მივიღოთ ეს პროდუქცია ამინდის ყოველგვარ პირობებში.

ამიტომ გვალვიან რაიონებში, სადაც არის ნაყოფირი მიწები და წყლის საჭირო წყაროები, უფრო მტკიცედ უნდა დავადგეთ ირიგაციის გზას. ამასთან უნდა შევისწავლოთ და ფართოდ გამოვიყენოთ სარწყავი მიწათმოქმედების გამოცდილება, რომელიც კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონაში შეიძინეს.

ცნობილია, რომ სარწყავ მიწებზე წლითიწლობით შეიძლება უხვი მოსავლის მიღება. მინდა მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა დიდი შესაძლებლობანი აქვს სარწყავ მიწებს.

ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ კოლმეურნეობა „ხუმალაგში“ სოციალისტური შრომის გმირის ხ. ა. ალბეგოვის რგოლმა 1962 წელს 90 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 115 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღო.

ყაბარდო-მალყარეთის ასსრ ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობაში გ. ხ. ემეშევის რგოლმა 1961 წელს 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 101 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, ხოლო 1962 წელს 170 ჰექტარი სარწყავი მიწების თითოეულ ჰექტარზე — 84 ცენტნერი.

როსტოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ზოლოტარევსკიში“ მერგოლურმა რაისა გორაჟაევამ შარშან 94 ჰექტარი ფართობის სარწყავ ნაკვეთზე საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 99 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

არ მოვიყვან ჩვენი ქვეყნის სხვა ზონების მაგალითებს. ისინი ცნობილია თქვენთვის. სიმინდი სარწყავ მიწაზე შეიძლება გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს კულტურა, რომელიც ყველაზე უხვ მოსავალს იძლევა. სარწყავი მიწათმოქმედების ყველა რაიონში უნდა გავშალოთ ბრძოლა იმისათვის, რომ მივიღოთ ჰექტარზე სულ ცოტა 80 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

სარწყავი მიწათმოქმედების როგორც ძველ, ისე ახალ რაიონებში შეიძლება მოვიყვანოთ ბრინჯის უხვი მოსავალი. კრასნოდარის მხარის საბჭოთა მეურნეობა „სლავიანსკიში“ მ. ე. ბარანოვას რგოლმა მიმდინარე წელს 200 ჰექტარი სარწყავი მიწების თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 70 ცენტნერი ბრინჯი, ხოლო თვითონ მარიამ ექვთიმეს ასული ნაკვეთიდან, რომელსაც უვლის, მიიღებს ჰექტარზე 85-90 ცენტნერ ბრინჯს.

მოგესალმებით თქვენ, ამხ. ბარანოვა! **(ტაში).**

ყუბანში არიან სხვა მოწინავეენიც, რომლებიც 50-60 ცენტნერ ბრინჯს იღებენ ჰექტარზე.

მთლიანად კრასნოდარის მხარის ბრინჯის მთესველ საბჭოთა მეურნეობებს კარგი შედეგები აქვთ, თუმცა შეიძლება მეტის იმედიც ვიქონიოთ.

გუშინ ჩვენ ვიყავით საბჭოთა მეურნეობა „კრასნოარმეისკიში“. ეს კარგი მეურნეობაა, მაგრამ ჰექტარზე 40 ცენტნერი ბრინჯის მოყვანა ცოტაა თქვენთვის. საბჭოთა მეურნეობის მიწები, ისევე როგორც მთელ ყუბანში, მდიდარი, ნაყოფიერია. და თქვენ მეტი ბრინჯი უნდა მოგყავდეთ თვითეულ ჰექტარზე.

საბჭოთა მეურნეობა „კრასნოარმეისკის“ დირექტორმა ამხ. მაისტრენკომ შეიძლება თქვას. სხვა მეურნეობებში 20 ცენტნერს იღებენო. ჩემი აზრით, ამით არ შეიძლება თავის მართლება. თუ იმათ მიბაძავს, ვისაც 20 ცენტნერი მოჰყავს, კარგი ცოლი ასეთ ქმარს საუზმის მეოთხედს უნდა აძლევდეს **(სიცილი დარბაზში)**, რადგან მან არ იცის, როგორ გაუძღვეს მეურნეობას. ბრინჯის შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად აღემატება 40 ცენტნერს ჰექტარზე. და მთლიანად უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი.

გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ 40 ცენტნერი ბრინჯი ჯერ კიდევ როდია 40 ცენტნერი ბურღეული. თუ გადავყრით 30 პროცენტ ჩენოს, მივიღებთ 28 ცენტნერ ბურღეულს. ბრინჯის ასეთი მოსავლიანობის პირობებში შეიძლება წარმოიშვას კითხვა, უკეთესი ხომ არ იქნება ამ ფართობზე ხორბლის მოყვანა. ამხ. ლუკიანენკო ხომ 50-60 ცენტნერ ხორბალს იწევს ჰექტარზე.

შეიძლება თქვან, ბრინჯს სხვა თვისებები აქვსო. ეს სწორია. მაგრამ ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა მივიღოთ მეტი მარცვალი. აი რატომ არის, რომ იმ პირობებში, როცა ბრინჯის მოსავლიანობა 40 ცენტნერია, ხმას ვაძლევ 50-60 ცენტნერ ხორბალს ჰექტარზე.

ამხ. მაისტრენკომ მაცნობა, რომ საბჭოთა მეურნეობაში დათესეს მოზამთრე ბარდა საშემოდგომო ხორბალთან ერთად და 47 ცენტნერი მიიღეს ჰექტარზე. ესეც კარგია.

ბრინჯის უხვი მოსავალი მოჰყავს შუა აზიის ბევრ მეურნეობას. მაგალითად, უზბეკეთის სსრ გურლენის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „კომუნიზმში“ 1958 წელს 1200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 55 ცენტნერი ბრინჯი, 1959 წელს — 72,3 ცენტნერი, 1960 და 1961 წლებში — 73 ცენტნერი, 1962 წელს — 72 ცენტნერი ბრინჯი ჰექტარზე. ამ კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც დ. პაკი ხელმძღვანელობს, 1962 წელს 88 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 85 ცენტნერი ბრინჯი მიიღო.

სარწყავ მიწებზე უხვ მოსავალს იძლევა საშემოდგომო ხორბალი. როსტოვის საცდელ-სამელიორაციო სადგურმა სარწყავ მიწებზე 60 ცენტნერი მარცვალი მოიყვანა ჰექტარზე. 62 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი მოიყვანეს ჰექტარზე სტავროპოლის საცდელ-სამელიორაციო სადგურის ყანებში და 74 ცენტნერი — ამ მხარის იზობილნოეს ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე.

სარწყავი მიწები ხალხის სიმდიდრეა. უნარიანად და უმეტესი ეფექტიანობით უნდა გამოვიყენოთ ყოველი სარწყავი ჰექტარი. სამწუხაროდ, ყველგან როდი იჩენენ პატრონის ზრუნვას ამისათვის.

მინდა აქ ვთქვა, თუ როგორ იყენებენ სარწყავ მიწებს უზბეკეთში. ახლა ვერ შევძლებ იქ წასვლას, მაგრამ უზბეკ ამხანაგებს კარგად ვიცნობ. ვფიქრობ, ისინი სწორად გაიგებენ ჩემს კრიტიკას. უზბეკეთის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდ მუშაობას აწარმოებენ ბამბის მოყვანისათვის. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ბევრმა მოწინავემ შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკაში ასეთივე ზრუნვით მოჰყავთ სარწყავ მიწებზე სხვა კულტურები. ამის შედეგად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვერ იყენებენ მარცვლისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების დიდ შესაძლებლობებს.

უზბეკეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი უნდა ჩაუფიქრდნენ ასეთ ციფრებს. უზბეკეთს, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, აქვს 2 მილიონ 595 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები. ფაქტიურად კი ირწყვება 2 მილიონ 355 ათასი ჰექტარი.

1963 წელს სარწყავ მიწებზე დაითესა: ბამბა — 1 მილიონ 584 ათასი ჰექტარი, კანაფი — 19,5 ათასი ჰექტარი, თამბაქო — 6 ათასი ჰექტარი, იონჯა — 171 ათასი ჰექტარი. მარცვლეული და პარკოსნები (უსიმინდოდ) დაითესა 143 ათას ჰექტარზე, მათ შორის: ბარდა — 21 ათას ჰექტარზე, თავთავიანი მარცვლეული — 55 ათას ჰექტარზე, ჯუგარა — 6 ათას ჰექტარზე, ბრინჯი — 31 ათას ჰექტარზე. სიმინდი მოჰყავდათ 180 ათას ჰექტარზე, მათ შორის სამარცვლე სიმინდი — 48 ათას ჰექტარზე. ბაღჩეული და კარტოფილი ითესებოდა 54 ათას ჰექტარზე, პირუტყვის საკვები შაქრის ჭარხალი, ერთწლიანი ბალახები — 51 ათას ჰექტარზე.

ამრიგად, ორნახევარი მილიონი ჰექტარი სარწყავი მიწებიდან ბამბა მოჰყავთ 1 მილიონ 584 ათას ჰექტარზე. ისმება კითხვა: როგორ გამოვიყენოთ უფრო პროდუქტიულად დანარჩენი სარწყავი მიწები, რა მოვიყვანოთ ამ მიწებზე? ვფიქრობ, რომ ბამბისა და ზოგიერთი სხვა ტექნიკური კულტურის შემდეგ პირველობა უნდა მიენიჭოს მარცვლეულს — ბრინჯს, სიმინდს. ამჟამად უზბეკეთი ცოტა მარცვალს აწარმოებს. რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ 10-12 მილიონ ფუთ პურს. მართალია, რესპუბლიკის მშრომელებმა მიმდინარე წელს გადადგეს წინ ნაბიჯი, უკვე მიჰყიდეს სახელმწიფოს 15 მილიონი ფუთი პური. მაგრამ განა ეს ციფრი განსაზღვრავს უზბეკეთის შესაძლებლობებს? ვფიქრობ, ეს შესაძლებლობანი გაცილებით მეტია.

დავიმოწმებ ასეთ გაანგარიშებებს. თუ ბამბის თესვის შემდეგ დარჩენილ 900 ათას ჰექტარ სარწყავ მიწებზე დავთესავთ სიმინდს 600 ათას ჰექტარზე და მოვიყვანთ სულ ცოტა 80 ცენტნერ მოსავალს, ანუ 488 ფუთს ჰექტარზე, უზბეკეთში მივიღებთ 300 მილიონ ფუთ მარცვალს!

ახლა კი შეადარეთ 15-18 მილიონი ფუთი მარცვალი, რომელსაც წელს მიჰყიდის სახელმწიფოს უზბეკეთის სსრ, და 300 მილიონი ფუთი, რაც მას შეუძლია აწარმოოს, თუ სრულფასოვნად მორწყავს და კარგად გამოიყენებს მიწას! აი სად არის მარცვალი, ამხანაგებო!

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სარწყავ მიწებზე სამარცვლე სიმინდის მოყვანის დროს ღერო შეიძლება დავასილოსოთ. გუშინ ჩვენ ვიყავით საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცში“, სარწყავი სიმინდის ყანებში. სიმინდი მაღალია, ღერო წვნიანი აქვს. ამიტომ შეიძლება მოვტეხოთ ტაროები, ხოლო ღეროსაგან დავამზადოთ სილოსი. ასეთი სილოსი, თუ მას დავუმატებთ ბუნებრივ ცილას (შარდოვანას), კარგი საკვები იქნებოდა მცოხნელი პირუტყვისათვის.

უზბეკეთში იმ ფართობებზე, სადაც უნდა დათესონ სიმინდი, მთელ რიგ რაიონებში შეიძლება მივიღოთ წელიწადში ორი მოსავალი, მაგალითად, ბარდა და სიმინდი. იქ უკვე არის ასეთი გამოცდილება: თესავენ ბარდას, იღებენ მის მოსავალს მაისში, შემდეგ კი თესავენ სიმინდს. უნდა ითქვას, რომ შუა აზიის სხვა რესპუბლიკებში სარწყავ მიწებს, რომლებზეც არ არის დათესილი ბამბა, უკეთ როდი იყენებენ, ვიდრე უზბეკეთში. სარწყავი მიწების თვითეული ჰექტარის უფრო რაციონალური გამოყენების საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის. მათ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ თვით შუა აზიის რესპუბლიკებისათვის, მათი ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

სულ შუა აზიის რესპუბლიკებში არის 4 მილიონ 600 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები. რას თესავენ ამ მიწებზე? ბამბას — 2 მილიონ 81 ათას ჰექტარს, სხვა ტექნიკურ კულტურებს — 100 ათას ჰექტარს, მარცვლეულს (უსიმინდოდ) — 448 ათას ჰექტარს, სხვა კულტურებს — 899 ათას ჰექტარს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ხელმძღვანელმა, როგორც ჩანს, როდი იცის, რა სხვა კულტურებია ეს. სარწყავ მიწებთან ასეთი დამოკიდებულების დროს შემთხვევითი როდია სარწყავი მიწების არაგონივრული გამოყენებისა და დატაცების ფაქტებიც კი.

გარდა ბამბის თესვა-მოყვანისა, სხვა სარწყავ კულტურებს სათანადო ყურადღება არ ექცევა, მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ არიან ადამიანებიც კი, რომლებსაც მოჰყავდეთ სიმინდი და სხვა ძვირფასი კულტურები.

ვოლგოგრადის ოლქში მაჩვენეს სარწყავი სიმინდი. აღმოჩნდა, რომ საშუალოდ ჰექტარზე აქ იღებენ სულ 14 ცენტნერ მარცვალს. ეს ძალიან მეწყინა. ვეკითხები: რატომ არის ასეთი მცირე მოსავალი? საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სპეციალობით ინჟინერი, გაჩუმებულია. აგრონომმა — ახალგაზრდა ქალმა აგრეთვე ვერაფერი ვერ მითხრა. მე ისინი ძალიან გავაკრიტიკე. მართლაც: განა ეს საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომაა — მიიღონ სარწყავ მიწებზე საშუალოდ ჰექტარზე 14 ცენტნერი სიმინდი?

ვესაუბრები წყალთა მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსს ამხ. ბეზზუბენკოს. ვაკრიტიკებ მას. მან ითმინა, ითმინა, მერე კი ამბობს: მე ვმუშაობ საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობაზე, მაგრამ არ ვხელმძღვანელობ მათ, ისინი არ მექვემდებარებიან და საერთოდ არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს სარწყავი მიწების გამოყენებასთან. კი მაგრამ, ვეკითხები, ვის ეხება ეს? თურმე არავის.

როგორ შეიძლება, ამხანაგებო, დავაბანდოთ ასეთი უზარმაზარი სახსრები, შევქმნათ შესანიშნავი შესაძლებლობანი, რათა ამინდის ყოველგვარ პირობებში მივიღოთ უხვი მოსავალი და არ ჰყავდეს პატრონი სარწყავ მიწებს? მაშინ ვის მოვთხოვოთ, ვინ გავაკრიტიკოთ? თქვენ კი გყავთ, ვინც უნდა გააკრიტიკოთ, მე კი — არა. **(მხიარული გამოცოცხლება).** მე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, იძულებული ვარ ჩემივე თავი გავაკრიტიკო, მაგრამ აგრეთვე თქვენც გაგაკრიტიკოთ **(მხიარული გამოცოცხლება)**, იმიტომ რომ თქვენ არ დააყენეთ მთავრობის წინაშე საკითხი, რომ საჭიროა შეიქმნას სარწყავი მიწების მართვის სახელმწიფო ორგანო. მე ათას ერთი საქმე მაქვს, ზოგიერთ თქვენგანს კი მხოლოდ ეს ერთი საქმე აქვს. ამიტომ მე მაქვს მორალური უფლება გაგაკრიტიკოთ თქვენ. ამხანაგებო, უნდა დავამყაროთ წესრიგი სარწყავ მიწებზე.

ხმა ადგილიდან: სწორია!

ნ. ს. ხრუშჩოვი: მოდით, გამოვიჩინოთ ნამდვილი უაირათიანი ინტერესი ამ ძვირფასი მიწებისადმი, რომლებზეც დახარჯულია უზარმაზარი სახსრები. საჭიროა, რათა სარწყავი მიწების გამოყენებისათვის ვიღაცამ კონკრეტულად აგოს პასუხი როგორც მთლიანად ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, ისე ადგილებზეც.

ახლა მომწოდა საჭიროება შეიქმნას საირიგაციო მშენებლობებისა და სარწყავი მიწების გამოყენების საწარმოო სამმართველოები როგორც საბჭოთა კავშირში, ისე რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებშიც.

ხმა ადგილიდან: მართალია.

ნ. ს. ხრუშჩოვი: დავუბრუნდეები მარცვლეულის წარმოებას შუა აზიის რესპუბლიკებში. ჩვენ სწორად არ ვაფასებდით ამ რესპუბლიკების შესაძლებლობას. აგრეთვე ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების შესაძლებლობებს მარცვლეულის წარმოების მხრივ. ვფიქრობ, რომ უზბეკები, ტაჯიკები, თურქმენები, ყაზახები, ყირგიზები, აზერბაიჯანელები, ქართველები, სომხები სწორად გამიგებენ და გამოეხმაურებიან პარტიისა და მთავრობის მოწოდებას იმის შესახებ, რომ გონივრულად გამოიყენონ სარწყავი მიწები ისე, რომ ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოებამ არ იზარალოს და გადიდდეს სასურსათო და საფურაჟე მარცვლეულის რესურსები.

მარცვლეულის წარმოების გადიდების ინტერესებისათვის საჭიროა შუა აზიის რესპუბლიკების წინაშე დავაყენოთ ახალი ამოცანები. სამართლიანი იქნებოდა იმ ფართობებიდან, რომლებზეც არ არის დათესილი ბამბა, გამოვყოთ დაახლოებით მიწის 60 პროცენტი მარცვლეული კულტურებისათვის — ბრინჯის, სიმინდისა და სხვა კულტურებისათვის. არ ვიცი, იხარებს თუ არა იქ ხორბალი, მაგრამ სპეციალისტებმა უნდა შეისწავლონ ეს საკითხი და შემოიტანონ თავიანთი წინადადებანი.

შეიძლება თქვან, რომ ზოგიერთ რაიონში არ არის საკმარისი წყალი ყველა სარწყავი მიწის საჭირო რაოდენობით მორწყვისათვის. ამიტომ იქ, სადაც საკმაო არ არის წყალი, შეიძლებოდა ზამთარში გაგვეხორციელებინა დატენიანება. ამ პერიოდში წყალი არ არის საჭირო ბამბის რწყვისათვის, და ეს წყალი შეიძლება გამოვიყენოთ ხორბლისა და სხვა მარცვლეული კულტურების აყენების სარწყავად. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ხორბალი „უფხო-1“ დატენიანების დროს იძლევა 60, 70 და მეტ ცენტნერ მარცვალს ჰექტარზე.

მაშინ შუა აზიის რესპუბლიკებს რა ფართობებზე შეუძლიათ დათესონ მარცვლეული კულტურები? ჩანს, სულ ცოტა — 1 მილიონ 200 ათას ჰექტარზე. ვფიქრობ, ამ ფართობიდან 800 ათასი ჰექტარი შეიძლება გამოიყოს სიმინდისათვის. წინათ მე ვასახელებდი 600 ათას ჰექტარს მარტო უზბეკეთისათვის. ახლა მხედველობაში მაქვს შუა აზიის ყველა რესპუბლიკა.

თუ ამ ზონაში მორწყვის შედეგად მივიღეთ საშუალოდ ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდი, ეს დაახლოებით 385 მილიონი ფუთი მარცვალი იქნება.

ამასთან მხედველობაში ვიღებ მხოლოდ სიმინდს და მხოლოდ და მხოლოდ მის მოსავალს. მაგრამ იქ ხომ სარწყავ მიწებზე კარგ მოსავალს იძლევიან სხვა კულტურები — ბრინჯი, ხორბალი, ქერი, ბარდა. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამას, ნათელი გახდება, რა დიდი შესაძლებლობანი აქვთ მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის უზბეკეთს და შუა აზიისა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებს. ვიმეორებ, ჩვენ საფუძვლიანად უნდა გადავსინჯოთ ამ რესპუბლიკებში მარცვლეულის მეურნეობისადმი დამოკიდებულება და უფრო სწორად გამოვიყენოთ მათი მდიდარი შესაძლებლობანი.

მთლიანად საბჭოთა კავშირში უკვე ამჟამად, ახალი საირიგაციო სისტემების მშენებლობის განხორციელებამდე, შეგვიძლია მნიშვნელოვნად გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება სარწყავ მიწებზე. მე მაქვს ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ თუ სარწყავი მიწების საერთო ფართობიდან გამოვრიცხავთ იმ მიწებს, რომლებსაც ბამბის მოსაყვანად იყენებენ, აგრეთვე იმ მიწებს, რომლებიც იონჯას, ბოსტნეულს, კარტოფილს, ბაღებსა და საკენკრეებს უკავია, მაშინ მარცვლეული კულტურებისა და ბრინჯისათვის რჩება 2,6 მილიონი ჰექტარი.

ეს საგულისხმო ციფრია, ეს მთელი საუნჯეა, თუ მიწებს გონივრულად გამოვიყენებთ.

აღნიშნული ფართობები რესპუბლიკებში ასეა განაწილებული: რუსეთის ფედერაცია — 625 ათასი ჰექტარი, უკრაინის სსრ — 60, უზბეკეთის სსრ — 300, ყაზახეთის სსრ — 500, აზერბაიჯანის სსრ — 445, საქართველოს სსრ — 100, ყირგიზეთის სსრ — 400, ტაჯიკეთის სსრ — 60, სომხეთის სსრ — 60, თურქმენეთის სსრ — 90 ათასი ჰექტარი.

ხედავთ, რა ფართობები გვაქვს! რა შეიძლება მოგვცეს ამ მიწებმა, თუ დავთესავთ ბრინჯს, სიმინდს, ხორბალსა და სხვა მარცვლეულ კულტურებს და მოვიყვანთ სარწყავი მიწების შესაფერის მოსავალს?

მოწინავე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სარწყავ მიწებზე შეიძლება ასეთი მოსავალი მოვიყვანოთ: ბრინჯი — 50 ცენტნერი, სიმინდის მარცვალი — 80 ცენტნერი, ხორბალი — 40 ცენტნერი ჰექტარზე. მე გამოსაანგარიშებლად საშუალო მაჩვენებლებს ვიღებ. კონკრეტულ პირობებში, ცხადია, უნდა შეფასდეს თვითეული ჰექტარი, გაირკვეს მისი შესაძლებლობანი, ავწონ-დაწონოთ როგორ გამოვიყენოთ უკეთ.

თუ მხედველობაში მივიღებთ ასეთ მოსავალს, მაშინ შეიძლება მოვიყვანოთ: ბრინჯი 116 ათას ჰექტარ ფართობზე — 35 მილიონი ფუთი; სიმინდის მარცვალი 1 მილიონ 330 ათას ჰექტარზე — 649 მილიონი ფუთი; ხორბალი და სხვა თავთავიანი კულტურები 1 მილიონ 100 ათას ჰექტარზე — 268 მილიონი ფუთი.

სულ იმ მიწებზე, რომლებსაც ახლა ვრწყავთ და არ ვიყენებთ ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურებისათვის, ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ 950 მილიონი ფუთი მარცვალი.

მინდა გითხრათ, რომ მოსავლიანობის ციფრები, მაგალითად 80 ცენტნერი სიმინდი ჰექტარ სარწყავ მიწაზე, მომყავს იმისათვის, რომ გიჩვენოთ როგორი შესაძლებლობანი გვაქვს მარცვლეულის წარმოების გასადიდებლად. და ეს სავსებით რეალური ციფრებია, რადგან დაადასტურა ბევრი მეურნეობის გამოცდილებამ. ვეთანხმები იმ ამხანაგებს, რომლებიც გეგმების შედგენის დროს ითვალისწინებენ მოსავლიანობის რამდენადმე შემცირებულ მაჩვენებლებს.

იბადება კითხვა: რატომ არ იყენებენ ახლა სარწყავ მიწებს ისე, როგორც უნდა იყენებდნენ? საეჭვოა ვინმემ ამომწურავად უპასუხოს ამ კითხვას. ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ და კიდევაც გვეცოდინება. და არა მარტო გვეცოდინება, არამედ კიდევაც მოვიხმართ სარწყავ მიწებს, სწორად გამოვიყენებთ ამ სახალხო დოვლათს. თუ სარწყავ მიწებზე მინერალურ სასუქებს შევიტანთ, მაშინ უხვ მოსავალს მოვიყვანთ, შევქმნით მარცვლეულის სრულფასოვან სადაზღვევო ფონდს.

მეურნეობის გაძღოლაში ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ ყველა ჩვენს შესაძლებლობას. ამიტომ, ამხანაგებო, გონება უნდა დავძაბოთ. აქ ჩვენი მეცნიერებისათვის აუარებელი სამუშაოა. და არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ წარმოების ორგანიზატორებისთვისაც. მეცნიერები ვერაფერს გახდებიან, თუ არ იქნენ ორგანიზატორები, რადგან მათ შეუძლიათ მხოლოდ შეიმუშაონ და გვირჩიონ ესა თუ ის მეთოდი, ორგანიზატორებიც ვერ წავლენ ირლად უმეცნიერებოდ. რადგან თუ მეცნიერებასა [illegible] არ დაიყრდნენ, [illegible] ვერ მიალწევენ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

აი ეს არის მიწის ყაირათიანად გამოყენება!

უნდა ვისწავლოთ, ამხანაგებო, ჩვენი მიწების უკეთესად გამოყენება. ახლანდელ პირობებში, როცა წლითიწლობით გადიდდება მინერალური სასუქების წარმოება, შეიძლება სწრაფად გავაორკეცოთ და გავასამკეცოთ თვითეული ჰექტარი მიწის პროდუქტიულობა.

მე ვფიქრობ საჭიროა მოწოდებით მივმართოთ სარწყავი მიწათმოქმედების რაიონების სოფლის მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა მუშაკს, შეისწავლონ, თუ როგორია იმის შესაძლებლობანი, რომ უკვე მოსავალ წელს გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება და გადაუდებელ ამოცანად დავსახოთ ის, რომ არსებულ სარწყავ მიწებზე, რომლებიც ბამბას არ უკავია, მარცვლეულის საერთო მოსავალი მილიარდ ფუთამდე ავიყვანოთ.

ფართოდ გავშალოთ საირიგაციო მშენებლობა

ამხანაგებო! საჭიროა გამოვნახოთ შესაძლებლობანი, რომ გავაფართოოთ სარწყავ მიწებზე მარცვლეულის ნათესები ახალი საირიგაციო სისტემების მშენებლობის გზით. რა შესაძლებლობანი გვაქვს სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებისათვის ბრინჯის, სიმინდის, ბარდის და სხვა მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების გარანტირებული მოსავლის მიღების მიზნით?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით მეცნიერთა ჯგუფმა შეისწავლა ეს საკითხი და წარმოგვიდგინა თავისი გაანგარიშებანი. სპეციალისტების აზრით, შუა აზიის რესპუბლიკებსა და ყაზახეთში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინის სს რესპუბლიკაში უახლოეს წლებში შეიძლება ავითვისოთ კიდევ 2 მილიონ 800 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები, აქედან:

შუა აზიისა და ყაზახეთის რაიონებში ამუ-დარიის, სირ-დარიის, ილის და ზოგიერთი სხვა მდინარის წყლის რესურსების ხარჯზე — 950 ათასი ჰექტარი;

რუსეთის ფედერაციაში ვოლგის, ყუბანის, დონის, თერგის წყლის რესურსების ხარჯზე — 1 მილიონ 215 ათასი ჰექტარი;

უკრაინის სს რესპუბლიკაში ჩრდილოეთ ყირიმის არხის, კახოვკის, ზემო როგაჩიკის, ინგულეცისა და სხვა სარწყავი სისტემების წყლების, აგრეთვე დუნაის ხარჯზე — 640 ათასი ჰექტარი.

ასტრახანში საუბრის დროს, როცა ამ საკითხს განვიხილავდით, გამორკვა, რომ ახალი მიწების დიდი მასივები შეგვიძლია ავითვისოთ სარპის დაბლობში.

როგორც ჩანს, ეს საორიენტაციო ციფრებია, ისინი, რა თქმა უნდა, დაზუსტებას მოითხოვენ. ვფიქრობ, რომ ეს დაზუსტება არსებითად არ შეამცირებს დასახელებულ ციფრებს. სინამდვილეში მორწყვის შესაძლებლობანი გაცილებით მეტია. მაგრამ პირველ ხანებში კარგი იქნებოდა აგვეთვისებინა აღნიშნული ფართობები, და მაშინ წარმატებით გადავწყვეტდით ამოცანას, რომ საკმარისი სასუსსათო და საფურაჟე მარცვლეულით უზრუნველგვეყო ჩვენი ქვეყანა და საჭირო რეზერვებიც შეგვექმნა.

მეცნიერებმა წარმოგვიდგინეს აგრეთვე ამ მიწების გამოყენების გაანგარიშებანი. მათი აზრით, ახლად ათვისებულ მიწებზე შეიძლება დაითესოს: ბრინჯი — 765 ათასი ჰექტარი, სიმინდი — 1.418 ათასი ჰექტარი, ხორბალი, ბარდა და სხვა მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები — 622 ათასი ჰექტარი.

რას მოგვცემს ამდენი მიწების ათვისება? მარცვლეულს საერთო მოსავლმა ამ ფართობზე შეიძლება შეადგინოს: ბრინჯისა — 235 მილიონი ფუთი, სიმინდისა — 690 მილიონი ფუთი, ხორბლის, ბარდისა და სხვა მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურებისა — 152 მილიონი ფუთი, ხოლო სულ 1 მილიარდ 77 მილიონი ფუთი.

გარდა ამისა, დაახლოებით 140 მილიონი ფუთი მარცვალი შეიძლება მივიღოთ დამატებით სარწყავი მიწების ნაწილზე წელიწადში ორი მოსავლის აღების გზით.

ამრიგად, ახალ სარწყავ მიწებზე შეგვიძლია მივიღოთ 1 მილიარდ 200 მილიონი ფუთი მარცვალი.

თუ ამას მივუმატებთ 950 მილიონ ფუთ მარცვალს, რომლის მიღება ახლანდელ სარწყავ მიწებზე შეგვიძლია, ეს ნიშნავს, რომ სულ ჩვენს ქვეყანაში სარწყავ მიწებზე შეგვიძლია ვაწარმოოთ 2 მილიარდ 150 მილიონი ფუთი მარცვალი.

ეს კარგი სადაზღვეევო ფონდი იქნება. სარწყავ მიწებზე მარცვლეულის ასეთი ყოველწლიური გარანტირებული მოსავალი რომ გვექნება, ჩვენ შეგვძლებთ კიდევ უფრო წარმატებით გადავწყვიტოთ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

თავისთავად იგულისხმება, რომ საირიგაციო სამუშაოების განხორციელებას დიდი კაპიტალური დაბანდება დასჭირდება. ერთი ჰექტარი სარწყავი მიწის ათვისება, სპეციალისტების გამოანგარიშებით, დაახლოებით 2.600 მანეთი დაგვიჯდება. ხოლო მთელ ფართობს, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, დასჭირდება 7 მილიარდ 300 მილიონი მანეთი.

კაპიტალური დაბანდება აქ, როგორც ჩანს, უფრო ნელა ანაზღაურდება, ვიდრე ბამბაზე. ბამბის ნათესების ირიგაციის ხარჯები, როგორც მშიერი ველის ათვისების გამოცდილებამ გვიჩვენა, ერთ-ორ წელიწადში ნაზღაურდება. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მარცვლეულისათვის მიწის საირიგაციო ხარჯები სამ წელიწადში ანაზღაურდება. არც ეს არის ცუდი, მე ვიტყოდი, რომ ძალიან კარგიც არის.

ჩვენ უნდა მოვემზადოთ საირიგაციო მშენებლობის დიდი სამუშაოების გასაშლელად. გარდა კაპიტალური დაბანდებისა, საირიგაციო სამუშაოებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ და გამოვყოთ საირიგაციო და მიწის სათხრელი ტექნიკა და მასალები, როგორიც არის: ექსკავატორები, სკრეპერები, ბულდოზერები, გრეიდერები, მგეგმავები, ტრაქტორები და სხვა მანქანები, აგრეთვე ლითონის, აზბესტცემენტისა და პლასტმასის მილები, ხე-ტყე და ლითონი.

მატერიალური მხრივ ჩვენ გვაქვს საირიგაციო მშენებლობის პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა. ახლა ჩვენი ქვეყანა იმდენ ცემენტს აწარმოებს, რომ ამდენი არც კი გვჭირდება. საშენი მასალების მრეწველობის მუშაკებმა წარმომიდგინეს ცნობა, რომელშიც წინადადებას იძლევიან იმ ცემენტის ქარხნების ღუმელების პარკის ნაწილი, რომლებიც მჟავე ნიადაგების რაიონებში მდებარეობენ, გადაიყვანონ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის წელიწადში 3-4 მილიონი ტონა კირის წარმოებაზე. საირიგაციო მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკაც გვექნება, გამოცდილება საკმარისი შევიძინეთ. შეგვიძლია თამამად მოვკიდოთ ხელი ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტას.

ამხანაგებო! ჩვენ კარგად უნდა მოვიფიქროთ მიწების მორწყვის წესები: კვლებით მოვარწყავთ თუ დაწვიმებით. მე გავეცანი სიმინდის ნათესების რწყვის გამოცდილებას საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცში“, ვესაუბრე დირექტორს, აგრონომებსა და ბრიგადირებს.

იქ ძალიან საინტერესო გამოცდილება აქვთ. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა საკუთარი ძალებით ააშენა სარწყავი სისტემა, რომელიც მარტივი კონსტრუქციისაა. პატარა მდინარეზე ააგეს ჯებირი, ააგროვეს წყალი, წყალგასაყარზე გამოიყვანეს მილსადენი და საწვიმარი დანადგარებით რწყავენ 240 ჰექტარ მიწას. წელს ორჯერ მოასწრეს მორწყვა, ჰექტარზე 800 კუბური მეტრი წყალი მიუშვეს და 75 ცენტნერი მარცვალი და 600 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა აიღეს თვითეულ ჰექტარზე.

წელს ყუბანში ზაფხული მდიდარი არ იყო ნალექებით, აქ ჰექტარზე 21 ცენტნერ სიმინდის მარცვალს იღებენ, ხოლო საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცში“, როგორც ვთქვი, 75 ცენტნერი მიიღეს. და ეს ორი მორწყვის შემდეგ. საქმე, როგორც ხედავთ, მარტო წყლის რაოდენობა როდია, არამედ უნარი, ოსტატობა. ახლა წყალს საბჭოთა მეურნეობაში ცენტრიდახული ტუმბოებით და ტრაქტორების დახმარებით აწვდიან. საბჭოთა მეურნეობას კუბური მეტრი წყალი ერთი კაპიკი უჯდება. მომავალი წლისათვის განზრახული აქვთ ტუმბოები ელექტრო-ამძრავებზე გადაიყვანონ, მაშინ კუბური მეტრი წყლის მიწოდება 0,6 კაპიკი დაჯდება. ამ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ბაკანოვი მეუბნებოდა, რომ მათ განზრახული აქვთ ერთი მეტრით აამაღლონ კაშხალი. ეს მეტი წყლის დაგროვების საშუალებას მისცემთ და კიდევ დაახლოებით 250 ჰექტარს მორწყავენ. ერთი სარწყავი ჰექტარი აქ 3—4 ჰექტარ ურწყავ მიწას უდრის.

საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცში“ ჩვენ ვნახეთ სიმინდი, რომელიც ტაროებიანი მწვანე მასის უხვ მოსავალს იძლევა. იგი ჯერ კიდევ მწვანე იყო, ტაროები მაღლა ჰქონდა გაკეთებული. ამხ. ბაკანოვმა გვითხრა, რომ სიმინდის ყანის ნაწილი სათესლედ არის დატოვებული, მაგრამ იგი სასილოსედ იყო დათესილი. სიმინდი ადრე აჭრეს, როცა ტაროები ის-ის იყო გამოინასკვა. ჰექტარზე 600 ცენტნერი მწვანე მასა მიიღეს. სიმინდის მოსავალი ახლა რომ აგვეღო, თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, ჩვენ მივიღებდით სიმინდის მარცვალს და 800-1.000 ცენტნერ სასილოსე მწვანე მასას.

აი ვოლგოგრადში კი საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონში“, სადაც ამას წინათ ვიყავი, წყალი რამდენიც გნებავთ იმდენი აქვთ, მაგრამ გამოყენება არ იციან. აქ მიწას აშანდაკებენ და კვლებით რწყავენ. საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცში“ მინდვრები ისედაც მოსწორებულია, მაგრამ აქ კვლებით კი არა რწყავენ, არამედ დაწვიმებით და უხვ მოსავალს იღებენ.

რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ ერთ საბჭოთა მეურნეობაში ინიციატივიანი, საზრიანი ხალხი მუშაობს, მეორეში კი გულგრილი, ინერტული ხალხი.

მე კმაყოფილი ვარ საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცში“ ჩასვლით. მიმაჩნია, რომ მისი გამოცდილება უნდა შევისწავლოთ, იგი უაღრესად ფართო გავრცელების ღირსია. რით არის იგი კარგი? იმით, რომ ხელმისაწვდომია. რწყვის სისტემა აქ სიმარტივით გამოირჩევა. იგი ყოველ მეურნეობაში შეიძლება გამოვიყენოთ და თვით ასეთი საირიგაციო სისტემის მშენებლობაც ძვირი არ ჯდება.

გუშინ გაზეთ „სელსკაია ჟიზნში“ გამოქვეყნებული იყო მასალა ამერიკის შეერთებულ შტატებში მინდვრების მორწყვის გამოცდილების შესახებ. იქ აღწერილია რწყვის სხვადასხვა სისტემა და მოყვანილია ვისკონსინის შტატში სიმინდის მოსავლიანობის მონაცემები. სიმინდის მარცვლის მოსავალი მოურწყავად ჰექტარზე 28 ცენტნერი მიიღეს, სრული რწყვის დროს — 82 ცენტნერი. რწყვის ზოგიერთი წესი ყურადღების ღირსია. რა თქმა უნდა, ჩვენც შეგვიძლია გავაკეთოთ ის, რასაც ამერიკელები აკეთებენ, — კიდევ უფრო მეტი ეფექტით მოვაწყოთ მარცვლეულის წარმოება სარწყავ მიწებზე.

ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ინჟინერ-ნოვატორები. დაე მათ შეიმუშაონ სარწყავ სისტემათა რამდენიმე ვარიანტი. სარწყავი მეურნეობა იმ ვარაუდით უნდა ავაგოთ, რომ სარწყავ მიწებზე ფართოდ გამოვიყენოთ მექანიზაცია.

ვფიქრობ, რომ პროექტების შეტუშავების მოხალისენი მოინახებიან. ისინი იმუშავებენ ახალ სისტემათა შექმნაზე, ფანქრით ხელში გამოიახგარიშებენ თვითეული კონსტრუქციის ეკონომიურ ეფექტიანობას.

სად უნდა გავშალოთ უპირველეს ყოვლისა საირიგაციო მშენებლობა? ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, უნდა გამოვიანგარიშოთ, სად შეიძლება მეტი სარგებლობა მივიღოთ სახსრების ნაკლები დახარჯვით. ჩვენი სპეციალისტი-ირიგატორები საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ასკოჩენსკი, კ. შუბლაძე და სხვები ამტკიცებენ, მაგალითად, რომ ამუდარიის ქვემოწელში შეიძლება შეიქმნას ბრინჯის თესვის უდიდესი რაიონი. ამისათვის, მათი აზრით, საჭიროა დაჩქარდეს ტახიატაშის კაშხალის მშენებლობა, რომლის სიმაღლე სულ 3 მეტრი იქნება. ასეთი კაშხალი საშუალებას მოგვცემს საირიგაციო არხებში გავუშვათ წყალი, როგორიც უნდა იყოს წყლის დონე მდინარეში. ეს და სხვა წინადადებანი უნდა შევისწავლოთ და სწორად გადავჭრათ.

მეგრუნველობით ვასწავლოთ კადრებს, ავამაღლოთ მუშაკთა მატერიალური დაინტერესება

ამხანაგებო! პარტია სახავს ჩვენს ქვეყანაში მარცვლის წარმოების გადიდების დიდ პროგრამას. მისი შესრულება, როგორც უკვე აღვნიშნე, მოითხოვს მინერალური სასუქების წარმოების მაქსიმალურად გადიდებასა და საირიგაციო მშენებლობის ფართოდ განვითარებას, მიწათმოქმედების კულტურის საერთო აყვანას ახალ საფეხურზე. ამასთანავე საჭირო იქნება მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია, გავზარდოთ სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული აღჭურვილობა. ჩვენ არ უნდა დავიშუროთ ამისათვის არც ფული, არც მატერიალური საშუალებანი. საჭიროა დავრაზმოთ ადამიანები ამ ამოცანის განსახორციელებლად, მატერიალურად დავაინტერესოთ ისინი, მოვიფიქროთ და დავნერგოთ შრომის უფრო რაციონალური ორგანიზაცია და ანაზღაურება. შრომის ანაზღაურების საკითხი ფრიად დიდმნიშვნელოვანია. მე ვიტყოდი, რომ ეს არის მეურნეობის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ძირეული საკითხი.

საბჭოთა მეურნეობა „კრასნოარმეისკის“ დირექტორმა ამხ. მაისტრენკომ გამაცნო შრომის ანაზღაურების სისტემა, რომელსაც მეურნეობაში იყენებენ. ბრინჯის მთესველთათვის აქ დაწესებულია გეგმიანი მოსავლიანობა — 30-35-40 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე. თუ მრწყველი ასრულებს გეგმას, იგი თვეში იღებს 60 მანეთს. ხოლო ზეგეგმითი პროდუქციისათვის უხდიან გასაღებული ბრინჯის ღირებულების 3 პროცენტს, მაგრამ არა უმეტეს 300 მანეთისა. ესე იგი ხუთი თვის ხელფასისა. მაშასადამე, საკმარისია ჰექტარზე აღებულ იქნას 45 ცენტნერი ბრინჯი, რომ დამატებით მიიღო ხუთი თვის ხელფასი. უფრო უხვი მოსავლის მოყვანას კი უკვე არ ეძლევა სტიმული. ამრიგად, მატერიალურად წახალისებულია ზეგეგმითი პროდუქცია ხუთი ცენტნერის ფარგლებში, შემდეგ კი იზღუდება, თითქოს 45 ცენტნერზე მეტი ბრინჯის მიღება ჰექტარზე ჩვენთვის საინტერესო აღარ არის. ეს სრულიად უმართებულოა.

საბჭოთა მეურნეობა „კრასნოარმეისკიში“ ბრინჯის მოსავლიანობის საგეგმო დავალება განსაზღვრულია 40 ცენტნერით, ხოლო რა საფუძველზე—გაურკვეველია. შეხედეს ცას და დაასახელეს ციფრი 40. მე შემიძლია ვთქვა — აიღეთ 60 ცენტნერი, ადამიანები ხომ 90 ცენტნერ ბრინჯსაც იღებენ ჰექტარზე. გამოდის, რომ 40 ნებისმიერი ციფრია, მას არავითარი სერიოზული დასაბუთება არა აქვს.

მე მიამბეს, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უფრო გონივრულად შეიმუშავეს მატერიალური წახალისების სისტემა. როგორ აწესებენ იქ გეგმიან მოსავლიანობას? იღებენ ბოლო ხუთი წლის საშუალო მოსავლიანობას და საფუძვლად იღებენ მას გეგმის განსაზღვრის დროს. მაგალითად, ფრიდრიხ ენგელსის სახელობის კოოპერატივში (ჰალეს ოლქი) გეგმით დაწესებულია, რომ 1963 წელს ჰექტარზე მიიღონ 330 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

ზეგეგმითი მოსავლის ათვის შრომა შემდეგნაირად ნაზღაურდება:

როცა გეგმა გადაჭარბებით სრულდება — 1-დან 10 ცენტნერამდე, უხდიან 0,83 მარკას ცენტნერში, 10-დან 25 ცენტნერამდე — 1.40 მარკას ცენტნერში და ა. შ.;

ზეგეგმითი კარტოფილის მოყვანისათვის — 1-დან 10 ცენტნერამდე უხდიან 1,2 მარკას, 10-დან 20 ცენტნერამდე — 1,6 მარკას, 20-დან და ზევით — 2,4 მარკას ცენტნერში და ა. შ.;

გეგმის გადაჭარბებით ერთი ცენტნერი ხორბლის მოყვანისათვის დაწესებულია დამატებითი ანაზღაურება 2,3 მარკის ოდენობით, ზეგეგმითი მოსავლისათვის 1,2-დან 2,5 ცენტნერამდე უხდიან 3,45 მარკას, 2,6-დან 5 ცენტნერამდე უხდიან 5,75 მარკას და ა. შ.

გერმანელი მეგობრები დიდ ყურადღებას აქცევენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ამით დაინტერესებულია კოოპერატივის თვითეული წევრი, სახალხო მამულის თვითეული მუშაკი. სახალხო მამულ „შვანებერგის“ დირექტორმა ამხანაგმა ოტო შტრუბემ გვიამბო, რომ შრომის დამატებითი ანაზღაურება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულდება პროდუქციის თვითღირებულების გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლები.

ვფიქრობ, რომ ეს დამატებითი ანაზღაურების გონივრული და უფრო დასაბუთებული სისტემაა. ჩვენც უნდა შევიმუშაოთ შრომის ანაზღაურების ისეთი სისტემა, რომელიც სტიმულს მისცემს უხვი მოსავლის მიღებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას.

საჭიროა აგრეთვე მატერიალურად დავაინტერესოთ მეურნეობის მუშაობის შედეგებით საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, აგრონომი, ინჟინერი და სხვა სპეციალისტები.

საირიგაციო მშენებლობის დიდ პროგრამას რომ ვსახავთ, მეტი ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ კადრების მომზადებისათვის. სარწყავი მიწათმოქმედება კვალიფიციურ სპეციალისტებს მოითხოვს. მათი მომზადებისათვის უნდა გავხსნათ ახალი სასწავლებლები — როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სასწავლებლები. უნდა მოვაწყოთ აგრეთვე სკოლები საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის, კოლმეურნეებისათვის. ხშირად ზეირად ვერ ვიყენებთ ჩვენს სიმდიდრეებს ძირითადად იმის გამო, რომ მუშაკებს აკლიათ კვალიფიკაცია. სოფლის მეურნეობის უბედურება ის არის, რომ ყოველ პროფანს, რომელსაც ბრინჯი უჭამია, უკვე ჰგონია, რომ იცის ბრინჯის მოვლა-მოყვანა, იცის, თუ რა კულტურაა ეს. სხვას დაუნახავს, როგორ თესავდა ბებია კარტოფილს, და აგრეთვე სოფლის მეურნეობის მცოდნედ თვლის თავს. **(მხიარული გამოცოცხლება).**

მრეწველობაში ასეთ რამეს ვერ ნახავთ. იქ ქარხნის ინჟინერი ან საამქროს ოსტატი ჩარხთან არ მიუშვებს მუშას, სანამ არ შეამოწმებს, იცის თუ არა ამ ჩარხზე მუშაობა. მუშას მოეთხოვება დიდი ცოდნა, მაღალი კვალიფიკაცია. ამიტომ იგი მოწოდებულია ბეჯითად დაეუფლოს მათ, სრულყოს თავისი ოსტატობა.

სოფლის მეურნეობაშიც უნდა შევქმნათ სკოლები, ვასწავლოთ ადამიანებს, თუ როგორ გაუძღვნენ უკეთ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას. ეს განსაკუთრებით ეხება მორწყვის საქმეს. სწავლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები უნდა გამოვცადოთ, მივცეთ მათ ატესტატი. სანამ სამუშაოზე მივიღებდეთ, უნდა ვიცოდეთ, რა შეუძლია იმას, ვისაც მიწასა და ტექნიკას ვანდობთ, შეძლებს თუ არა ეს ადამიანი თავი გაართვას მინდობილ საქმეს. კადრების სწავლება ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

ამხანაგებო! ჩვენ შევქმენით საწარმოო სამმართველოები. ეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის კარგი ფორმაა. მე უკვე მითქვამს, თუ რა დიდსა და სასარგებლო მუშაობას ეწევიან სამმართველოთა ხელმძღვანელები, სპეციალისტები. და მაინც უნდა აღინიშნოს, რომ კადრები სამმართველოებისათვის ყველგან როდია შერჩეული სწორად, ყველაფერი როდი კეთდება იმისათვის, რომ სამმართველოთა მუშაკებს ჩავუნერგოთ ხელმძღვანელობის ახალი სტილი, რომელიც გამომდინარეობს თვით სამმართველოთა მუშაობის ხასიათიდან. საწარმოო სამმართველოებში მუშაობენ ადამიანები, რომლებსაც ჩვენ ინსპექტორ-ორგანიზატორები ვუწოდეთ. მაგრამ მათ შორის ყველა როდია სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მაგალითად, არიან მასწავლებლები. როგორ შეუძლიათ მათ ინსპექციის გაწევა? ისინი, ალბათ კარგად ერკვევიან პედაგოგიურ საქმეში, მაგრამ ცუდად იციან, როგორ უნდა მოიყვანონ სიმინდი, გაასუქონ ღორი.

მე უკვე ვილაპარაკე საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცის“ შესახებ. ეს კარგი მეურნეობაა. ბევრი და ნაყოფიერად იმუშავა საბჭოთა მეურნეობაში მისმა ყოფილმა დირექტორმა, ამჟამად საწარმოო სამმართველოს პარტკომის მდივანმა ამხ. პოსპელოვმა. ახალი დირექტორი — ამხ. ბაკანოვი — მისი ღირსეული შემცვლელია, და მეურნეობა არათუ არ შეამცირებს თავის მაჩვენებლებს, არამედ გაზრდის. იგი იჩენს კარგ ინიციატივას სარწყავი მეურნეობის შექმნაში. საბჭოთა მეურნეობაში აწარმოებენ, მგონი, 200 ცენტნერ ღორის ხორცს 100 ჰექტარ სახნავზე.

ხმა ადგილიდან: 220 ცენტნერს.

ნ. ს. ხრუშჩოვი: საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცში“ ხელმძღვანელები და სპეციალისტები პერსპექტივით მუშაობენ, იციან, როგორ გაუძღვნენ მეურნეობას. ასეთი მოწინავე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მაგალითით უნდა ვასწავლოთ ყველა ხელმძღვანელს. საჭიროა გავზარდოთ მომთხოვნელობა კადრებისადმი. არ შეიძლება, მაგალითად, გავუძღვეთ მეცხოველეობას ძველებურად, არ გავითვალისწინოთ საკვების ხარჯვა, ანგარიში არ გავუწიოთ ზოოტექნიკის მეცნიერებას. ცნობილია, რომ ყოველი სახეობის პირუტყვსა და ფრინველს აქვს ზრდის მაქსიმალური პერიოდი. ამ პერიოდის შემდეგ გასუქების გაგრძელება არ არის ხელსაყრელი მეურნეობისათვის, იგი იწვევს საკვების გადახარჯვას და აძვირებს პროდუქციის ღირებულებას, რაც საბოლოო ანგარიშით ზარალს იწვევს. აი ამიტომ მოწინავე მეურნეობები ღორის კილოგრამ წონამატებაზე ხარჯავენ 3,5-5 საკვებ ერთეულს, ხოლო არიან ისეთი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობებიც, რომლებიც ხარჯავენ 12 და მეტ საკვებ ერთეულს. ბევრ მეურნეობაში კი საერთოდ არ იციან, რამდენი საკვები იხარჯება კილოგრამ წონამატებაზე, რადგან იქ არ არის რაიმე აღრიცხვა.

ასე მუშაობა აღარ შეიძლება. უნდა ვასწავლოთ ადამიანებს, შექმნათ სკოლები, რომლებიც მოამზადებენ კადრებს მეცხოველეობაში სამუშაოდ. როგორც ჩანს, უფრო ბეჯითად უნდა ვიბრძოლოთ ისეთი მდგომარეობისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები შეიქმნას ყანებში, იქ, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებს აწარმოებენ. ახლა სპეციალისტთა კადრებს სოფლისათვის უმთავრესად ქალაქებში ამზადებენ. ხშირად ასეთ სპეციალისტს, რომელმაც ინსტიტუტი დაამთავრა, ბაგირით ვერ გაიყვან სამუშაოდ. კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში. ზოგჯერ ქალაქელი ქალიშვილი სასწავლებელში შედის მხოლოდ იმისათვის, რომ უმაღლესი განათლება მიიღოს. ინსტიტუტისა და ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იგი ყოველგვარ სამუშაოზე მიდის ქალაქში, ოღონდ სოფელში არ წავიდეს. და გამოდის, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები ყოველწლიურად მრავალ სპეციალისტს უშვებენ, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ კი მხოლოდ მათი ნაწილი მიდის.

მე მიამბეს, რომ ყუბანში საბჭოთა მეურნეობა „ვენცი-ზარიანიში“ შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ამ ტექნიკუმის კურსდამთავრებული მეურნეობებში ოქროს ფასად უღირთ, იმიტომ რომ იგი სწავლობდა და ამავე დროს მუშაობდა, იცის, როგორ მოუაროს ძროხას, ღორს, ფრინველს. ყოველივე ეს არა მარტო წიგნებითა და სურათებით იცის, არამედ პრაქტიკით. აი რატომ წარმართავს ღრმა ცოდნით თავის საქმეს ასეთი სპეციალისტი.

ჩვენ უნდა შევქმნათ მეტი საშუალო სპეციალური სასწავლებლები როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაშიც. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მომავალი სპეციალისტები სწავლობდნენ ოსტატობას, ეუფლებოდნენ ამ ოსტატობას შრომის საუკეთესო ნიმუშებით, მოწინავე მეურნეობათა მაგალითით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასოფლო-სამეურნეო კოლეჯები გასულაგებულია, როგორც წესი, ყანებში და იქ სტუდენტები თვითონ მუშაობენ: მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო კულტურები, უვლიან პირუტყვს. ჩვენში კი ინსტიტუტების სასწავლო მეურნეობებში ასობით მუშა შრომობს. განა ეს სწორია? სტუდენტები ვალდებული არიან არა მარტო პროფესორთა ლექციები მოისმინონ, არამედ თვითონ იმუშაონ ყანებსა და ფერმებში, მოსინჯონ თავიანთი ძალები, შეიძინონ პრაქტიკული ჩვევები. მაშინ ცოდნა, რომელსაც ისინი იძენენ, იქნება მტკიცე, ცხოვრებასთან დაკავშირებული.

ჩვენ უკვე არაერთხელ გვითქვამს, რომ საჭიროა გადავსინჯოთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების სისტემა, დავუახლოოთ იგი წარმოებას. სახელმძღვანელობები, პროგრამები—ყველაფერი უნდა შეესაბამებოდეს ერთ მიზანს — მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ეყვარება და ეცოდინება სოფლის მეურნეობა, შეძლებს მთელი ძალღონე და ცოდნა მოახმაროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას.

ყველამ უნდა ისწავლოს — მეურნეობათა ხელმძღვანელებმაც, სპეციალისტებმაც, საწარმოო სამმართველოთა მუშაკებმაც. ინსპექტორ-ორგანიზატორები ვალდებული არიან შეისწავლონ მეცხიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, რათა უნარიანად მოახდინონ გავლენა წარმოებაზე, მიაღწიონ უმაღლეს ეკონომიურ მაჩვენებლებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ვისაც არ უნდა სწავლა, მას არ შეუძლია მუშაობა. სწორად აკრიტიკებენ პრესაში ხელმძღვანელებს, რომლებიც ათას განკარგულებას იძლევიან, მაგრამ თვითონ არ შეუძლიათ მოაწყონ საქმე. უნდა შევცვალოთ უუნარო მუშაკები, დავაწინაუროთ ახალი ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდობიდან. მათ აქვთ ცოდნა, მაგრამ აკლიათ გამოცდილება, ისინი პრაქტიკას გაიკლიან აგრონომებთან, ზოოტექნიკოსებთან, ინჟინრებთან, წარმოების ნოვატორებთან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვიყენებთ მეცნიერების უახლეს მიღწევებს, შეძლებთ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება. უამისოდ წინ ვერ წავიწევთ.

არის ადგილები, სადაც ჩვენს კადრებს შეუძლიათ გამოიყენონ ცოდნა. სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, წარმოების ორგანიზატორებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველყონ მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება. ეს ახლა სოფლის მეურნეობის პრობლემათა პრობლემაა. მარცვლეულ კულტურებს ჩვენს ქვეყანაში 136 მილიონ ჰექტარი ტერიტორია უჭირავს. მარცვლეულის საერთო ფართობიდან სამეძოდგომო ხორბალს უჭირავს 18 მილიონი ჰექტარი, საგაზაფხულო ხორბალს — 49 მილიონი ჰექტარი, სრული სიმწიფის სამარცვლე სიმინდს — 7 მილიონი, ბარდას — 4 მილიონი ჰექტარი. 1962 წელს მარცვლეულის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე შეადგენდა 10,9 ცენტნერს. მარცვლეულის საერთო მოსავალი 9 მილიარდი ფუთი იყო.

თუ შევძლებთ საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ 30 ცენტნერი მარცვალი, მარცვლეულისათვის საკმარისი იქნებოდა გვქონოდა 80 მილიონი ჰექტარი და ამ ფართობიდან შეიძლება მივიღოთ 14 მილიარდი ფუთი მარცვალი, როგორც ეს დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით 1970 წლისათვის. მაგრამ ამისათვის საჭიროა მთლიანად მივცეთ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს მიწერალური სასუქები, ეფექტიანად გამოვიყენოთ თვითეული ჰექტარი მიწა, მტკიცედ და გულმოდგინედ ვისწავლოთ სოფლის მეურნეობის სწორი მართვა.

ძალიან კარგად და ლამაზად თქვა ჩვენმა შესანიშნავმა მეცნიერმა ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინმა: „ჩვენ არ შეგვიძლია ველოდოთ წყალობას ბუნებისაგან; ჩვენი ამოცანაა იგი ბრძოლით ვოვიპოვოთ“. და ჩვენ, ამხანაგებო, მეცნიერების დონით, კადრების მომზადებისა და ჩვენი ხალხის საერთო კულტურის დონით, ჩვენი ქვეყნის მატერიალური და ტექნიკური შესაძლებლობებით შეგვიძლია მივაღწიოთ ამ მიზანს. ახლა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მრეწველობის მოთხოვნილებათა უზრუველყოფის ამოცანა უნდა გადავწყვიტოთ არა ფართობების გადიდების გზით, არამედ არსებული მიწების უკეთ გამოყენების, მიწერალური სასუქების გამოყენების, მეცნიერების მიღწევების, მცენარეთა საუკეთესო ჯიშების

მეწყობრშია შვიდწლედის კიდევ ერთი გიგანტი



ციხეური ალი აინთო თბილისის ჩრდილოეთ გაზგამანაწილებელ სადგურთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

□ □

გაზმშენებელთა შრომითი გმირობა

(დასასრული)

გაზსადენის მშენებლობა. ჩვენ მშვენივრად ვიცოდით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაზსადენს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის, და ჩვენი მეცადინეობა გამარჯვებით დაგვირგვინდა. სტავროპოლის გაზი მოხმარდება თბილისს საწარმოებსა და მცხოვრებლებს. აქ, ამ მიტინგზე, ვხვიმობთ ჩვენს დიდ გამარჯვებას.

ნება მიბოძეთ ამ ტრიბუნიდან მივულოცოთ ყველა ჩემს ამხანაგს დამსახურებული წარმატება და ვუსურვო მათ ახალი გამარჯვებანი ჩვენი სამშობლოს საიდუმლად!

მშენებლობის ერთ-ერთი საუკეთესო მეექსკავატორე **ს. სარდარიანი** ამბობს:

სიხარულით მოგახსენებთ, რომ პარტიისა და მთავრობის დავალება შესრულებულია ვადამდე: ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენი ამუშავდა. გაზსადენების მშენებლობაზე 1958 წლიდან ვმუშაობ. ემონაწილეობდი ისეთი დიდი გაზსადენების აგებაში, როგორიც არის ყარადაღი-თბილისი-ყაზახ-ეორევან-დილეჟან-ეროვანის მაგისტრალი. მაგრამ ასეთი ძნელი და რთული ტრასა, როგორიც ეს არის, ჯერ არ მინახავს.

ჩემი ექსკავატორით ამოვიღე 200.000 კუბური მეტრი გრუნტი, ვმუშაობდი ჯვრის უღელტეხილსა და თბილისის მიადგომებზე. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ბეჯითი შრომა დიდი წარმატებით დაგვირგვინდა.

ჩემი ამხანაგების სახელით საქართველოს მშრომელებს ვულოცავ ახალი გაზსადენის ამუშავებას. დიე მარად ანათებდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ჩირაღდანი!

ტრიბუნაზეა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორი **ი. ზერეკიძე.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლობა ერთ-ერთი დადასტურებაა იმისა, რომ წარმატებით სრულდება ამოცანები, რომლებიც დასახა სკკპ ისტორიულმა XXII ყრილობამ. ახალი გაზის მაგისტრალის ამუშავება უზრუნველყოფს საქართველოს ქარხნებისა და ფაბრიკების სტაბილურ მუშაობას, გაუმჯობესებს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, შეუქმნის მშრომელებს უკეთეს კოფუნალურ პირობებს.

სტავროპოლის გაზის ერთ-ერთი დიდი მომხმარებელი იქნება ელმავალსაშენებელი ქარხანა. განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ცისფერ სათბობზე საწარმოთა გადაყვანას. ახალი გაზის მაგისტრალი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს გაზით საწარმოთა მომარაგებას, დაგვეხმარება უკეთ შევასრულოთ სულ უფრო მზარდი პროგრამა, ღირსეულად გავამართლოთ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვები, რომელმაც თქვა, რომ თბილისში აშენებული ქართული ელმავლები წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის მრავალ მაგისტრალზე.

ახლა ჩვენ ვქმნით ახალ სწრაფ ელმავალს, რომელიც იმუშავებს ცვლადი დენით. ჩვენი კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ისევე, როგორც გაზსადენის მშენებლებმა, უპატაკოს ჩვენს ქვეყანას ახალი მანქანის ვადამდე გამოშვება.

ჩვენი ქარხნის მუშების, მოსამსახურეების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების სახელით მხურვალედ ვულოცავ გაზსადენის სახელოვან მშენებლებს და მადლობას ვუხდი იმისათვის, რომ საუცხოო საჩუქარი გვიძღვნეს ჩვენ და საქართველოს ყველა მშრომელს დიდი ოქტომბრის 46 წლისთავის წინ.

სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე, რესპუბლიკის გაზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი **გ. ბარძიმოვი.** იმას, ვინც თუნდაც ერთხელ ყოფილა ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის ტრასაზე, თქვა მან, არ შეიძლება ალტაცება არ გამოთქვას მისი მშენებლების გმირობისა და სიმამაცის გამო. შესანიშნავი საბჭოთა ადამიანები ამ მაგისტრალს აშენებდნენ მეტად რთულ პირობებში. მათ მძიმე მანქანები აპყავდათ თითქოს-და მიუწვდომელ ფრიალოზე; მუშაობდნენ იქ, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასოთ ამ გაზსადენის მნიშვნელობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის. უახლოეს დროში გაზით დაიწყებს მუშაობას თბილისისა და რუსთავის ყველა სამრეწველო საწარმო. 1964 წელს ჩვენ უზრუნველვყოფთ რუსთაველთა ყველა ბინის გაზიფიკაციას, ორ წელიწადში დამთავრდება, ძირითადად, თბილისის საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციაც.

ახალი გაზსადენი საშუალებას მოგვცემს უარი ვთქვათ ასეულ ათასობით ტონა ქვანახშირსა და ათეულ ათასობით ტონა მაზუთზე, რომლებიც წინათ იწვებოდა ქარხნებისა და ფაბრიკების საცეცხლეებში. სტავროპოლის გაზი მეტად საჭირო ნედლეულია რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობისათვის, რომელიც სწრაფად ეითარდება. იგი საშუალებას მოგვცემს ჭვარტლისა და კვამლისაგან გავწმინდოთ ჰაერი საქართველოს ქალაქებში.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს, ომელმაც სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მხურვალედ მივესალმო ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლებს, მემონტაჟეებსა და საექსპლოატაციო პერსონალს, მოგილოცოთ თქვენ მძლავრი გაზის მაგისტრალის მშენებლობის წარმატებით დამთავრება და ამუშავება.

ამხანაგებო! დიდი შრომითი გამარჯვება თქვენ მოიპოვეთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა საბჭოთა ადამიანები კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ჩვენი ხალხის უდიდეს შემოქმედებით შრომაში საპატიო როლს ასრულებენ მშენებლები. კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ავანგარდში მყოფი საბჭოთა მშენებლები აშენებენ ახალ ქალაქებსა და იმორჩილებენ მძლავრ მდინარეებს, გაჰყავთ ელექტროგადაცემათა ხაზები და აშენებენ გიგანტურ ქარხნებს, გაჰყავთ უნიკალური გაზსადენები და აშენებენ გრანდიოზულ ხიდებს.

ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა მშენებლობა. ახლა მშენებლობის ტემპით საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ ათ წელიწადში სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების მოცულობა თითქმის ერთისამად გადიდდა. მიმდინარე წელს სსრ კავშირში წარმოებულ იქნება 44 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები. ეს მეტია, ვიდრე აწარმოებენ ახლა ამ კონსტრუქციებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიასა და შვეიცარიაში ერთად. ხოლო ცემენტის, მინისა და ფიქალის წარმოების დონით ჩვენმა ქვეყანამ გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

ჩვენ ვაშენებთ იმდენს, რამდენსაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ აშენებს მსოფლიოში. იქვს წელიწადში, რომლებიც გავიდა მას შემდეგ, რაც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს დადგენილება „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“, მარტო ქალაქებსა და მუშათა დაბებში საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობია 489 მილიონი კვადრატული მეტრი. აღმშენებლობის დიდი არმია — საბჭოთა მშენებელთა არმია წლითიწლობით სულ უფრო აღიჭურვება ახალი მძლავრი ტექნიკით: ექსკავატორებით, ბულდოზერებით, ამწეებით, მილჩამწყობებით, შესადუღი აპარატებით.

ამხანაგებო!

ჩვენი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხთან მხარდამხარ წარმატებით იბრძვიან საბჭოთა საქართველოს მშრომელები სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. შვიდწლედის დამდეგიდან ჩვენში ამოქმედდა ათობით დიდი სამრეწველო საწარმო, საექსპლოატაციოდ გადაეცა ასობით საცხოვრებელი სახლი. აშენდა ახალი ჰიდროელექტროსადგურები, საავტომობილო გზები, სარწყავი სისტემები, ელექტროგადაცემათა ხაზები.

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ამ მიტინგზე, რომ ზეიმით აღვნიშნოთ შვიდწლედის კიდევ ერთი გოლიათის დაბადება. ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის ამოქმედება მშენებელთა და მემონტაჟეთა შესანიშნავი შრომითი გამარჯვებაა. თბილისში სტავროპოლის გაზის მოსვლით დამთავრდა გაზის გადაცემის დიდი კომპლექსი მაიკოპ-ნევინომისკ-ორჯონიკიძე-თბილისის ტრასით, ერთიან სისტემად დაკავშირდა კავკასიისა და ამიერკავკასიის გაზსადენები. გადაიჭრა ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ დასახა.

გაზსადენის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა გადალახეს მთელი რიგი ურთულესი ბუნებრივი დაბრკოლებანი და ტექნიკური სიძნელეები. მსოფლიო პრაქტიკაში ძნელია მოონახოს უფრო რთული და საინჟინრო თვალსაზრისით უფრო წარმატებით გადაწყვეტილი ტრასის მაგალითი. 4,5 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, აქედან ნახევარზე მეტი — კლდის მაგარ ქანებში, 130 კილომეტრი თაროები, რომლებიც გამოკვეთილია მთის ფერდობებზე, მთის მდინარეებისა და ხეობების 300-ზე მეტი გადაკვეთა — ასეთია სახელოვან გაზმშენებელთა შრომის ძირითადი მაჩვენებლები, შრომისა, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ გოლიათური.

გაზსადენის ტრასაზე მუშაობდა ძმური მეგობრობითა და სიყვარულით შეკავშირებული მშენებელთა მრავალეროვნული არმია. სტავროპოლის გაზი ჩვენს რესპუბლიკაში მოჰყავდათ რუსებსა და ქართველებს, უკრაინელებსა და სომხებს, ოსებსა და აზერბაიჯანელებს, ბევრი სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. გაზსადენის მშენებლობის წარმატებით დამთავრება, რომელსაც დასაწყისშივე უწოდეს ხალხში „მეგობრობის გაზსადენი“, ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ძმობისა და ერთობის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა.

ძვირფასო ამხანაგებო!

ძნელია ყველას ჩამოთვლა — რადგან ისინი ათობით და ასობით არიან, — მაგრამ არ შეიძლება არ დავასახელოთ თუნდაც ზოგიერთნი, რომელთა თავდადებული შრომა იყო დღევანდელი გამარჯვების საწინდარი. ესენი არიან მემონტაჟეები ხმელნიცკი, რებიკი, საღაშვილი, ფასარული, მუხიანაშვილი; მეექსკავატორეები კოვალიოვი და სარდარიანი; ბულდოზერისტები ავდეენკო და პოღოსიანი; ბრიგადირები სავინსკი და პეტროსიანი; სამუშაოთა მწარმოებლები პეტროვი, რიბალჩენკო, გიორგობიანი, მუსაელიანი; მილჩამწყობი მანქანების მემანქანეები ნოსკოვი, კუზნეცოვი, ბელოვი და ბევრი სხვა. ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ მხურვალედ და ძმურად გიძღვნათ მადლობა თქვენ და თქვენი სახით გაზსადენის მშენებელთა მთელ ერთსულოვან კოლექტივს თბილისელების, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით.

დიდება თქვენ, ძვირფასო მეგობრებო!

ვუსურვოთ „მეგობრობის გაზსადენის“ მშენებლებს ახალი დიდი წარმატებანი ცხოვრებასა და შრომაში!

გაუმარჯოს საბჭოთა მშენებლებს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას!, რომელიც აღგვაფრთოვანებს დიადი გმირობისათვის კომუნიზმის საკეთილდღეოდ!

• • •

ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა ტაში.

ხაზგასმა მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს გადაწყვეტილება მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პირადად ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვს.**

სიტყვა მისალმების ტექსტის წასაკითხავად ეძლევა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველ მდივანს **რ. ი. ფრუთიძეს.**

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ მისალმების სიტყვებს.

ხაზგასმა მიტინგი, მიძღვნილი გაზსადენის ამუშავებისადმი, დახურულად ცხადდება. მაშ ასე, მწყობრში ჩადგა შვიდწლედის კიდევ ერთი გოლიათი, რომელიც მოხმარდება ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი აყვავების საქმეს. (საქდესი).

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

2 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მეხვედრა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციასთან — გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან მ. რაიმანთან, გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებთან ი. ლედვონთან, მ. შეფერთან და ო. ნიბერგალთან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

მეგობრული საუბრის დროს ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაციები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის კომპარტიის საქმიანობის შესახებ, განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის კომპარტიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ პარტიებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნია, მთელი ძალით გაშალონ ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, თერმოატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის.

დელეგაციებმა აზრები გაუზიარეს ერთმანეთს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე. შეხვედრამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის კომპარტიას შორის ნამდვილად ძმური ურთიერთობა და შეხედულებათა სრული ერთიანობაა ყველა განხილულ საკითხზე.

ნალექი ქანების სიმდიდრე

ლითოლოგთა მეექვსე საკავშირო თათბირი

თბილისში მუშაობა დაამთავრა სამთო ნალექი ქანებისა და მათთან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის შესწავლელ ლითოლოგ-გეოლოგების VI-ე საკავშირო თათბირმა, რომელიც ოთხ დღეს გრძელდებოდა.

ეს თათბირი მიეძღვნა ნალექი ქანებწარმოქმნის და ეულკანიზმის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის განხილვას. ამ, შედარებით ნაკლებად შესწავლილ მეცნიერულ პრობლემას, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საქდესის კორესპონდენტმა მიმართა გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ა. ლ. იანშინს თხოვნით, გამნზა თათბირის შედეგებზე, მის მნიშვნელობაზე ლითოლოგიის განვითარებისათვის.

აი, რა თქვა აკადემიკოსმა ა. ლ. იანშინმა:

ამჟამად საბჭოთა კავშირში გეოლოგიური მეცნიერების ყველა მიმართულება წარმატებით ვითარდება. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეძცევა ლითოლოგიას.

სხვა სპეციალობის გეოლოგების მრავალათასიან არმიასთან ერთად, საბჭოთა ლითოლოგები აქტიურად მუშაობენ ჩვენი ქვეყნის მინერალური რესურსების გამოვლინებასა და გამრავლებისათვის.

კვლევა-ძიება თანამედროვე ეულკანიზმის დარგში წარმატებით წარმოებს კამჩატკაზე, კურილის კუნძულებზე; ციმბირში, ურალზე, შუა აზიაში და, განსაკუთრებით ინტენსიურად, კავკასიაში, სადაც ფართოდ არის გავრცელებული შერეული ნალექი და ეულკანური წარმოშობის სხვადასხვა ასაკის ქანები. თბილისი შემთხვევით არ იყო არჩეული თათბირის მოსაწყობად. ქართველმა მეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს ამ პრობლემის შესწავლის საქმეში.

თათბირზე 22 მოხსენება მოისმინეს. განსაკუთრებით გაცხოველებული მსჯელობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნალექი ქანების ლაბორატორიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ნ. სტრახოვის მოხსენებამ, რომელმაც ახალი თვალსაზრისი გამოთქვა წყალქვეშა ამოხეთქვის კერების მახლობლად ვულკანური ქანების მექანიზმისა და დაგროვების ფაქტორების შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ძოწენიძის მოხსენებამ ნალექების წარმოშობაზე ეულკანიზმის გავლენის შესახებ, გ. თვალჭრელიძის მოხსენებამ, რომელშიც აკადემიკოსმა ეულკანიზმთან დაკავშირებული საბადოების ახალი წინასწარი კლასიფიკაცია მოგვცა, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ი. ხეოროვას მოხსენებამ, რომელშიც ავტორმა მოიყვანა სხვადასხვა გენეტიკური ტიპების საბადოების მაგალითები და გააშუქა მათი ჩამოყალიბების ზოგიერთი საკითხი, და სხვა მეცნიერების მოხსენებებმა.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიაც დასახულია ეულკანურ ნალექი ქანებისა და მათთან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის შემდგომი ყოველმხრივი გამოკვლევების გზები და მეთოდები.

გავაფართოოთ გენთონიტური თიხების წარმოება

მახარაძე, 1 ოქტომბერი. (საქდესი). აქ გაიმართა თათბირი, რომელიც მოაწყვეს ნავთობისა და გაზის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ქიმიური და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ. თათბირმა განიხილა თიხაფხვნილების საკითხი, რომელსაც იყენებენ ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის დროს. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა 100-ზე მეტი თვალსაჩინო მეცნიერი და სპეციალისტი. მოისმინეს სრულიად საკავშირო ბურღვის ტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტისა და ნავთობმაქანების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: თიხაფხვნილების წარმოების მდგომარეობა, პერსპექტივები, ეკონომია და მათი გამოყენება ბურღვის დროს, ნედლეულის ბაზის განვითარება ქარხნების განლაგება, სამუშაოთა მექანიზაცია ბურღვის დროს თიხაფხვნილების გამოყენებით.

თათბირზე მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე საქართველოს, უკრაინის, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკების, თათრეთის, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკების, კრასნოიარსკ მხარის თიხაფხვნილების ქარხნების ხელმძღვანელებმა, უკრაინის, ჩრდილო კავკასიის, შუა აზიის, შუა ვოლგის, ქვემო ვოლგის სახალხო მეურნეობის საბჭოების იმ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა, რომლებიც თიხაფხვნილებს იყენებენ.

ჩვენს ქვეყანას, როგორც თათბირზე აღინიშნა, მაღალხარისხოვანი თიხების დიდი მარაგი აქვს. მაგრამ ბენთონიტური თიხების წარმოება ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა. გამონაკლისია მხოლოდ მახარაძის ქარხანა, რომელიც მაღალხარისხოვან ბენთონიტურ ფხვნილებს უშვებს.

აღინიშნა, რომ ბენთონიტებს ფართოდ გამოყენება სამთო და სამშენებლო ტექნიკაში, სამსხმელო, საანის სახარშავ წარმოებაში, ქაღალდის, საფეიქრო, კერამიკულ, კვების და სხვა დარგის მრეწველობაში ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის ამ დარგების შემდგომ განვითარებას.

თათბირმა დასახა ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავს ბენთონიტური თიხების წარმოების გაფართოებასა და მაღალხარისხოვანი თიხაფხვნილების გამოშვებას, მათი თვითღირებულების შემცირებას, კომპლექსური მექანიზაციის დანერგვას თიხის ხსნარების მომზადების საქმეში, თიხაფხვნილების წარმოებაში ახალი სტანდარტების დანერგვას.

თათბირის მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს სსრ კავშირის გეოლოგიის კომიტეტს გააძლიეროს ბენთონიტური თიხების საბადოების ძიება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

მაღალი ჯილდო ჰიდრომშენებლებს

შესანიშნავი საწარმოო წარმატებებისათვის, რომლებიც მოპოვებულია კოლის ნახევარკუნძულზე კოვდის ჰიდროელექტროსადგურთა კასკადის აგების დროს, ახალი ტექნიკის დანერგვისა და ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ლენინის ორდენი და ოქროს medaliი „ნამგალი და ურო“ მიანიჭა ექსკავატორის მემანქანეს ვიქტორ ივანეს-ძე გერასიმენკოსა და „ჰრდილოეთჰიდრომშენის“ სამმართველოს უფროსს სიმონ გრიგოლის-ძე ცესარკის. (საკდესი).

საბრძოლო დიდების გზით

მეთერთმეტე არმიის 45 წლისთავის გამო

საბჭოთა შეიარაღებული ძალების ისტორიაში არის ღირსშესანიშნავი თარიღები, რომლებიც მოგვაგონებენ მის გმირულ ტრადიციებს და ამასთან ერთად ჩვენი სამშობლოს მშრომელთა ბრძოლის ნათელ ფურცლებს ზლიან, მშრომელებისა, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის ბრძოლაში. ერთ-ერთი ასეთი თარიღია მე-11 არმიის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვანი გაერთიანების 45 წლისთავი, რომელიც 1963 წლის 3 ოქტომბერს სრულდება. ამ არმიამ სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის მკაცრ წლებში ძლევამოსილი გზა განვლო უუბანის ველებიდან კასპიისა და შავი ზღვის ნაპირებამდე, ვოლგიდან მტკვარსა და არაკსამდე.

მე-11 არმია დაიბადა 1918 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში რევოლუციური ბრძოლების ქარცეცხლში. იგი შეიქმნა წითელგვარდიელი რაზმებისაგან, ამ არმიაში შედიოდნენ მუშები, მშრომელი გლეხები და ღარიბი კაზაკები, ყუბანის, შავიზღვისპირეთის, სტავროპოლისა და თერგის ფრონტელი ჯარისკაცები, რომლებიც კომუნისტების ხელმძღვანელობით, ცენტრალური რუსეთის მუშებისა და გლეხების მაგალითით აღფრთოვანებულნი იარაღით ხელში აღდგნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. მე-11 არმიის შემადგენლობაში შევიდნენ ლეგენდარული ტამანელები, რომელთა უმეტესობა გმირობა აღწერილია დ. სერაფიმოვიჩის „ეპოპეა „რკინის ნიაღვარში“.

მე-11 არმია თავგანწირვით იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის „მოხალისეთა არმიის“ წინააღმდეგ, თერგგვარდიელთა გაშმაგებული შეტევისაგან იხსნა ასტრახანი და ვოლგის შესართავი, თერგისა და დაღესტნის ხალხებს დაეხმარა, რომ სამუდამოდ განთავისუფლებულიყვნენ მემამულურ-ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის საძულველი უღლისაგან.

ამ არმიის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ახალი ცხოვრების დაწყებასთან. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელთა მოწოდებით, რომლებიც აღდგნენ თავიანთი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის საბრძოლველად, მე-11 არმია ვ. ი. ლენინის წარმოგზავნილების — გ. კ. ორჯონიკიძის, ს. მ. კიროვის, ა. ი. მიკოიანის, ნ. ნ. ნარიმანოვის, ა. ო. მიასნიკოვის მეთაურობით მხარში ამოუდგა ამიერკავკასიის ხალხებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების საქმეში.

არაფერი არ განმტკიცებს ისე მეგობრობას, როგორც საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დაღვრილი სისხლი. აი რატომ არის, რომ მე-11 არმია, რომელიც შემდეგ ცალკე კავკასიის არმიად გარდაიქმნა, ხოლო 1923 წლიდან თავისი საბრძოლო ალამი წითელი დროშის ორდენით დაიმშვენა კავკასიის წითელდროშოვანი ეწოდა, მტკიცედ დაუკავშირდა აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ ხალხებს. ურღვევი მეგობრობით არიან დაკავშირებული ამიერკავკასიის მუშები და გლეხები, ინტელიგენცია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებთან, რომელთა სახელოვანი წინამორბედი მე-11 არმია იყო. ეს კავშირი პატრიოტული აღფრთოვანების უშრეტი წყარო კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლაში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხრეთის საზღვრების დაცვის საპატიო სამსახურში.

საბჭოთა არმიის მეომართა და ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას საბელოვანი ტრადიციები აქვს. მე-11 არმიის მებრძოლები კომუნისტურმა პარტიამ, მეთაურებმა და კომისრებმა ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზარდეს. მათ გმირობისათვის ალაფრთოვანებდა ამიერკავკასიის მოძმე ხალხებთან საერთო ამოცანები და მიზნები, ერთად ბრძოლა მშობლიური საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ყველა მშრომელის დიდი სიყვარული და თავდადებული მხარდაჭერა. ამ სახელოვან არმიაში ყოველი მეოთხე მეომარი კომუნისტი იყო. მის რიგებში მხარდამხარ იბრძოდნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ლატვიელები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების შვილები. ნეიტალრმიელის მაზარა ჩაიცვეს გმირმა ბაკოელმა კომუნარებმა, სომხეთის ალექსანდროპოლის სახელოვანი აჯანყების მონაწილეებმა, ქართველმა მამაცმა რევოლუციურმა მეამბოხეებმა. მე-11 არმიაში, ლენინ მ. ვ. ფრუნზე და ვ. ვ. კუიბიშევი, ს. ი. გუსევი, კ. ა. მეხანოშინი და ბ. დ. მიხაილოვი, შ. ზ. ელიავა და ა. გ. კარაევი, გ. ა. ათარბეგოვი და ი. ფ. ფაბრიციუსი.

მე-11 არმიის ბრძოლებსა და ლაშქრობებში გაიზარდნენ და გამოიწვრთნენ ნიჭიერი მეთაურები, სახალხო გმირები, მუშებისა და გლეხების შვილები — ი. ფ. ფედკო, დ. პ. ულობა, მ. გ. ეფრემოვი, ს. კ. ტიმოშენკო, ი. ი. მატვეევი, პ. ვ. კურიშკო, მათთან მხარდამხარ თავდადებულად იბრძოდნენ ძველი არმიის ყოფილი ოფიცრები, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებასა — მ. ნ. ტუხაჩევსკი, მ. კ. ლევანდოვსკი, ა. ი. გეკერი, ე. ი. კოტიუხი, მ. დ. ველიკანოვი, ა. ი. ტოდორსკი და ბევრი სხვა.

იმ პოლიტმუშაკთა შორის, რომლებიც 1921 წელს საქართველოს მშრომელთა დასახმარებლად მოვიდნენ, იყო ნ. ს. ხრუშჩოვიც.

„ქართველმა ხალხმა კარგად იცის, — თქვა ვ. პ. მჟავანაძემ 1961 წლის 6 თებერვალს ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, — რომ ნიკიტა სერგის ძე პირველად საქართველოს ეწვია ღირსსახსოვარ 1921 წელს, როდესაც ლეგენდარული განმათავისუფლებელი მე-11 არმიის რიგებში იყო. ეს არმია ლენინის მითითებით მოდიოდა მშრომელთა დასახმარებლად, რომლებიც ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აჯანყდნენ საძულველი მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ“.

კავკასიის მე-11 წითელდროშოვანი არმია შესანიშნავი სკოლა გახდა არა მარტო სამხედრობისათვის, არამედ სხვა კადრებისთვისაც, რომლებმაც კარგად გამოავლინეს თავი სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგში. აკადემიკოსები ვ. ა. ენგელგარდტი და ფ. გ. კოტკოვი, პროფესორები ს. ლ. ბერეზე და ა. პ. სტეკლოვი, გენერლები ა. ი. ტოდორსკი და ი. ლ. ხიფნიკი, საქართველოში კოლექტიური მეურნეობის ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი, კურიშკოს დივიზიის ყოფილი კავალერისტი კობა ჩოხელი და უხუცესი რევოლუციონერი, ჯავშნოსანი მატარებლის წითელარმიელი ალი ტაგე-ზადე — ეი მე-11 არმიის მხოლოდ რამდენიმე ყოფილი მეომარი, რომელიც ამ არმიის / სამოქალაქო ომისდროინდელ კოლექტიურ გმირობას განაგრძობდა სახელოვან მშვიდობიან შრომაში სამშობლოს სადიდებლად, კომუნიზმისათვის.

იმ ისტორიულ ადგილებში, სადაც მე-11 არმიის მეომრები რევოლუციურ მუშებთან და გლეხებთან მტკიცე საბრძოლო თანამეგობრობით უშიშრად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ, ჩვენს დღეებში ახალი ცხოვრება გაიფურჩქნა, კომუნიზმის ბევრი ხელშესახები ნიშანი გაჩნდა.

მოძმე ხალხების მშრომელი ხელით გარდაიქმნა ის მიწა, რომელზეც ქალაქებისა და სოფლების მშრომელები შთაგონებით ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პარტიის ლენინურ პროგრამას.

აქ ვლინდება ნათლად ჩვენი პარტიის



საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევს აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა ქვეყნებს.

სომალის ახალგაზრდა რესპუბლიკაში საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით ორი ჰოსპიტალი შენდება. ჰოსპიტლების არქიტექტურულ-საგეგმო ნაწილი გადაწყვეტილია საბჭოთა სპეციალისტების მიერ ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით. მთავარი კორპუსი შენდება შიგნითა შეკრული ეზოთი, რომელიც სტაციონარულ ავადმყოფთა სასეირნო ზონაა. შენობის ორსართულიან ნაწილში იქნება სტაციონარი 50 საწოლით, საოპერაციო ბლოკი, მისაღები განყოფილება; ერთსართულიან ნაწილში — ამბულატორია, ექიმების კაბინეტები, საპროცედურო ოთახი, რენტგენის კაბინეტი, აფთიაქი. ამბულატორიას შეუძლია ყოველდღე 100 ავადმყოფი მიიღოს.

სურათზე: მაკეტი ჰოსპიტლისა, რომელიც სომალის რესპუბლიკაში შენდება.

ფოტო ა. სტუფინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

შეხვედრა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო კუბის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კ. ლეჩუგა და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

ი. გაგარინი საფრანგეთში

პარიზი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ მსოფლიოს პირველი კოსმონავტი იური გაგარინი მიიღეს პარიზის მუნიციპალურ საბჭოში და სენის დეპარტამენტის გენერალურ საბჭოში. ქალაქის რატუშის შენობის წინ შეიკრიბა ათასობით პარიზელი, რათა მისალმებოდნენ კოსმოსის გმირს.

იური გაგარინს გადაეცა ქალაქ პარიზის დიდი ვერცხლის medaლი, აგრეთვე სენის დეპარტამენტის საპატიო medaლი.

ი. გაგარინს გადაეცა „გალაგერის პრემია"

პარიზი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ პირველ საბჭოთა კოსმონავტს იური გაგარინს გადაეცა ასტრონავტიკის საერთაშორისო „გალაგერის პრემია" 1962 წლისათვის. ეს პრემია მას მიენიჭა თვალსაჩინო დამსახურებისათვის კოსმოსის შესწავლაში.

ინგლისი კომენტარზე უარს ამბობს

ლონდონი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დღეს უარი თქვა კომენტარი გაეკეთებინა პრესის ცნობისათვის იმის შესახებ, რომ ინგლისმა გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს ნატოს მოვალმხრივი ატომური ძალების შექმნაში. კითხვაზე, უარყოფს თუ არა იგი ამგვარ ცნობებს, სამინისტროს წარმომადგენელმა უპასუხა: „არა, მე საერთოდ უარს ვამბობ ეს ცნობები განვმარტო".

პოლონეთმა დაამტკიცა მოსკოვის ხელშეკრულება

ვარშავა, 2 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ გუშინ დაამტკიცა ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

პრეზიდენტი შეშფოთებულია

ვაშინგტონი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). 30 სექტემბერს ვაშინგტონში საერთაშორისო საკალუტო ფონდის სესიაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კენედი. მან აღიარა, რომ უკანასკნელ 20 წელიწადში შეერთებული შტატების, როგორც საერთაშორისო ბანკირის, მდგომარეობა შესუსტდა. 20 წლის წინათ, თქვა მან, მსოფლიოს ეკონომიური ცხოვრება კონცენტრირებული იყო შეერთებული შტატების გარშემო. შეერთებულ შტატებში იყო მსოფლიოს ოქროს მარაგის 60 პროცენტი. მას შემდეგ სურათი ძალეთრად შეიცვალა. ამერიკის შეერთებული შტატების ოქროს მარაგი, განაცხადა კენედიმ, ახლა მსოფლიო მარაგის 40 პროცენტს არ აღემატება.

კენედიმ თქვა, რომ შეერთებული შტატები ახორციელებენ თავ ერ ფონისძიებებს, რათა გაუძლებსონ თავიანთი საგადასახდელო ბალანსი. ამერიკის შეერთებული შტატები, თქვა მან, დიდ ღონისძიებებს მიმართავენ, რათა გაადიდონ ექსპორტი და სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის მოცულობა, კიდეკ უფრო შეამცირონ დოლარის ხარჯვა საზღვარგარეთ. ახორციელებენ ღონისძიებებს, რომ შეამცირონ კაპიტალის გატანა საზღვარგარეთ, განზრახული აქვთ შეინარჩუნონ თავიანთი საქონლის ფასების მყარი დონე და „უფრო სასურველი გახადონ კაპიტალის დაბანდება" შეერთებულ შტატებში.

კენედიმ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ „საერთო ბაზარი", როგორც მან ხაზგასმით აღნიშნა, „ახალ უფრო მეტ სიძნელეებს უქმნის" ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობას.

მაკნამარასა და ფეიდორის „პიზიტი" დამთავრდა

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბ. ლოსევი და გ. ვასილიევი გვატყობინებენ:

მტკიცედ ვიაროთ მოსკოვის ხელშეკრულების მიერ დასახული გზით, — აი გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის გადაუდებელი ამოცანა, განაცხადა ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ვ. კისელიოვმა 30 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გამართული საერთო დისკუსიის დროს. ბელორუსიის სსრ დელეგაცია, განაგრძო მან, კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოთა უმეტესობა უკვე დაადგა ან ადგება მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის გზას. ჩვენ ვამაყობთ, რომ მშვიდობის ქარავანს „ცივი ომის" დამსხვრეულ ყინულებში საბჭოთა კავშირის მძლავრი ყინულმჭრელი მეთაურობს

კ. ვ. კისელიოვმა ხაზგასმით აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხების ბედისათვის, მშვიდობის ბედისათვის საყოველთაო და სრულ განიარაღებას. მან აღნიშნა, რომ დასავლეთის ქვეყნების სულ უფრო მეტი პასუხისმგებელი მოღვაწე მოითხოვს განიარაღებას. ჩვენ მივესალმებით ამას და მიგვაჩნია, რომ ახლა სწორედ დრო დადგა თავი დავანებოთ ლამაზ სიტყვებს და კარგ საქმეს შევუდგეთ.

ამ მხრივ კარგ შესაძლებლობას იძლევა საბჭოთა კავშირის ახალი ინიციატივა, რომ 1964 წლის პირველ ნახევარში მოწვეულ იქნეს იმ სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების თათბირი, რომლებიც 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში შედიან. ახლა, თქვა ბელორუსიის სსრ დელეგატმა, განიარაღების დასავლეთელ მოწინააღმდეგეებს გაუძნელდებათ განიარაღების პრობლემის ურთიერთმისაღები მოწესრიგების შეფერხება უიმისოდ, რომ არ გამოამჟღავნონ თავიანთი თავი როგორც ამ პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტის მტრებმა. მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, განაგრძო ბელორუსის დელეგაციის მეთაურმა, — საერთაშორისო ცხოვრების იმ უდიდესი ძვრების ბედნიერი მაუწყებელია, რომლებსაც ხალხები მოითხოვენ, ხელშეკრულებამ არ აღმოფხვრა ომის საფრთხე, არ შეწყვიტა გამალებული შეიარაღება, მაგრამ იგი კაცობრიობის ძირეული ინტერესების უზრუნველყოფის გზას გვიჩვენებს. ამ გზით წასვლა, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებსა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის უნდა დიდოს თავდაუსხმელობის პაქტი, განხორციელდეს რადიკალური ღონისძიებანი, რომ თავიდან ავიცილოთ უეცარი თავდასხმა და შევამციროთ უცხოეთის ჯარები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ ღონისძიებათა განხორციელება დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარი იქნებოდა ძირეულ საკითხზე — საყოველთაო და სრულ განიარაღებაზე შეთანხმების მისაღწევად.

ბელორუსიის დელეგატმა აღნიშნა, რომ 70-მდე ტერიტორია დაახლოებით 50 მილიონი მოსახლეობით ჯერ კიდევ კოლონიურ მონობაშია და მოითხოვა, რომ 1965 წლისათვის სამარცხვინო კოლონიური რეჟიმების ნაშთები საბოლოოდ აღიგავოს პირისაგან მიწისა.

ბელორუსიის დელეგაციის მეთაურმა გამოთქვა რწმენა, რომ კაცობრიობა შეძლებს აგრესიისა და ომის ძალების იზოლაციას და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეასრულებს თავის მოვალეობას — ხელს შეუწყობს ომის თავიდან აცილებას და მშვიდობიან თანაარსებობას. ნიგერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაჩუკუმ განაცხადა, რომ მოსკოვის ხელშეკრულება საჭირო მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი და მისი ქვეყანა ამიტომ შეუერთდა ხელშეკრულებას. ვაჩუკუ შეეხო ევროპის პრობლემებს და წამოაყენა წინადადება, რომ გერმანიის საკითხის გადაჭრა დაიწყონ ორი სახელმწიფოს ფედერაციის შექმნით, ხოლო ბერლინი გადაიქცეს „ფედერალურ ტერიტორიად, რომელსაც დროებით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მართავს". შემდეგ ნიგერიის საგარეო საქმეთა მინისტრი გადავდა აფრიკის პრობლემებზე და განაცხადა, რომ მისი მთავრობა რწმენით ეკიდება ერთობლივ მოქმედებას და „პასუხსაგებ და არა უპასუხისმგებელო დამოუკიდებლობას". ბურუნდის ვიცე-პრემიერმა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მასუმბუკამ განაცხადა, რომ აფრიკის სახელმწიფოთა ადის-აბების კონფერენცია და მოსკოვის ხელშეკრულება ორი უყველაზე დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენაა უკანასკნელ ხანებში. კონფერენციამ წარმოშვა იმედი, რომ მნიშვნელოვნად შენელდება საერთაშორისო დაძაბულობა მსოფლიოს ურცელი რაიონის განთავისუფლების საშუალებით, ხოლო მოსკოვის ხელშეკრულების დადებით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა უომო მსოფლიოსაკენ მიმავალ გზაზე. მასუმბუკომ სასტიკად დაგმო პორტუგალიელ კოლონიზატორთა და სამხრეთაფრიკელ რასისტთა არაადამიანური მოქმედება.

გუშინდელ დღის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ინდონეზიის, ინდოეთისა და პაკისტანის წარმომადგენლები.

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტები ს. ლოსევი და გ. ვასილიევი იუწყებიან: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარული სხდომა 1 ოქტომბერს გაიხსნა სალვადორის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლით.

შემდეგ საერთო დისკუსიაში გამოვიდნენ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიუმი და კუვეიტისა და შვეიცის წარმომადგენელნი.

სალვადორის საგარეო საქმეთა მინისტრმა ექტორ ესკობარ სერანომ მოსკოვის ხელშეკრულება შეადარა იმედის უთმოს განსაკუთრებული ყურადღება".

ინგლისის მინისტრი, რომელმაც მიიღო შეურაცხყოფილი უმანკოების პოზა, უჩიოდა იმას, რომ ასამბლეაში და უშიშროების საბჭოში ინგლისს ბრალად სდებენ კოლონიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს. ლორდმა ჰიუმმა განაცხადა, ჩემთვის გაუგებარია, რას ნიშნავს „ნეოკოლონიალიზმი", როცა ამ ტერმინს უფარდებენ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკასო.

სხდომის დასასრულს გამოვიდა ინდონეზიის წარმომადგენელი პალარი, რომელმაც მოკლედ უპასუხა ლორდ ჰიუმს.

ინდონეზიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნეოკოლონიალიზმი უწინარეს ყოვლისა კოლონიური სახელმწიფოების პოლიტიკაა, რომლებიც ცდილობენ დეკოლონიზაციის გარდუვალი პროცესი დაუმორჩილონ საკუთარ ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ინტერესებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ინგლისის პოლიტიკის მაგალითებით პალარმა ცხადყო, თუ როგორ გამოიყურება ნეოკოლონიალიზმი პრაქტიკაში.

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. როგორც საკდესის კორესპონდენტები ს. ლოსევი და გ. ვასილიევი იუწყებიან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. დუგერსურენმა განაცხადა: მონღოლეთის დელეგაციას მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ამ სესიამ შესაბამისი ფორმით უნდა მოიწონოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობის მიერ ხელმოწერილი მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, როგორც პირველი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ გზაზე, რომ წარმატებით გადაიჭრას განიარაღების პრობლემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად. მონღოლეთის დელეგაციის მეთაური გუშინ გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის პლენარულ სხდომაზე.

ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარკოზ ფალკონ ბრისენომ აღნიშნა, რომ ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანა დაინტერესებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომავალი კონფერენციით ვაჭრობისა და განვითარების პრობლემებზე.

მშვიდობის კარგი საქმე

• გენერალური ასამბლეის სესიაზე •

ბოტკინიკი თბილისში



თბილისში ჩამოვიდა გამოჩენილი გროსმაისტერი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მ. ბოტკინიკი. მასთან ერთად საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის სტუმარი იქნება ცნობილი გროსმაისტერი და ჟურნალისტი ს. ფლორი.

უკვე 28 წელია, რაც მ. ბოტკინიკი საჭადრაკო ხელოვნების კორიფედ ითვლება, ამიტომ მასთან თვითეული შეხვედრა მეტად საინტერესოა ყველა მოქადრაკისა თუ გულშემატკივრისათვის. პირველად ბოტკინიკი საქართველოს ეწვია 1961 წელს, მაგრამ მას არასახვის, რომელიც გამოჩნდა შავ ღრუბლებში, მან გამოთქვა სურვილი, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებას მოაწერეს სხვა შეთანხმებანი, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ომის საფრთხის თავიდან აცილება.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა ჰიუმმა მხარი დაუჭირა საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებას „თანდათანობით" და შესაბამისი პოლიტიკური ჰავის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობდა შეთანხმებას ამ პრობლემებზე. იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც მისი აზრით, განუზომლად გააუმჯობესებდნენ ატმოსფეროს მოლაპარაკებაში განიარაღების შესახებ, მან დასახელა შესაძლო შეთანხმება ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების შესახებ, ღონისძიებათა მიღება უეცარი თავდასხმის თავიდან აცილებისათვის ნატოს ქვეყნებისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საკვანძო პუნქტებში სამეთვალყურეო საგუშაგოების შექმნის გზით. სხვა შესაძლო ნაბიჯი ომის თავიდან აცილების მიმართულებით, თქვა მან, იქნებოდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, შეთანხმება კოსმოსურ სივრცეში ატომური იარაღით აღჭურვილი ობიექტების გაშვების აკრძალვის შესახებ.

„მე, — განაცხადა ჰიუმმა, — დიდი უურადღებით წავიკითხე გრომიკოს 19 სექტემბრის სიტყვა ამ ასამბლეაზე და მივესალმები კონსტრუქციულ ადგილებს, რომლებსაც იგი შეიცავს და რომლებიც განიარაღებას შეეხება... მე მინდა ვნახო გამალებული შეიარაღების ტემპის შენელება. ჟენევის თათბირმა, როცა იგი განახლდება, ამას უნდა დადეს არ მიეღოთ მონაწილეობა ჩვენს რესპუბლიკაში გამართულ რომელიმე საჭადრაკო აპარეზობაში, თუმცა საკავშირო შეჯიბრებებში არაერთხელ შეხვედრია ჩვენს უძლიერეს ოსტატებს.

მ. ბოტკინიკი თბილისში სამ დღეს დარჩება. დღეს იგი ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდება თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა ცენტრალური საჭადრაკო სკოლის უძლიერეს მოთამაშეებს, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა ხაკრები გუნდის წევრებს, ხოლო ხვალ გაიმართება ერთდროული თამაშის სეანსი საათებით. ამ სეანსში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს უძლიერესი ახალგაზრდა მოჭადრაკეები.

თბილისიდან მ. ბოტკინიკი და ს. ფლორი ქუთაისსა და სოხუმში გაემგზავრებიან.

ნიგერია ფედერაციული რესპუბლიკაა (ცნობა)

ნიგერია — დასავლეთ აფრიკის უდიდესი სახელმწიფო, მდებარეობს გვინეის ყურის სანაპიროზე. ტერიტორიაა 923 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა — დაახლოებით 40 მილიონი კაცი. ძირითადი ეროვნებანი — ხაუსა, ფულანი, იბო, ფულბე, იორუბა.

რესპუბლიკის დედაქალაქია ლაგოსი.

ნიგერიის ეკონომიკაში ჭარბობს სოფლის მეურნეობა. ყველაზე გავრცელებული საექსპორტო კულტურებია ზეთის პალმის პროდუქტები (პირველი ადგილი მსოფლიოში), არაქისი, კაკაო, კაუჩუკი.

ქვეყანა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით: კალით, ქვანახშირით, ნავთობით. კოლუმბიტით (პირველი ადგილი მსოფლიოში), რკინის მადნით, ვოლფრამით, ტყვიითა და სხვ. წამყვანი ადგილი უკავია კალის მოპოვებას, რომელიც უცხოელების, უმთავრესად, ინგლისის კომპანიების ხელშია.

დამამუშავებელი მრეწველობა სუსტად არის განვითარებული და წარმოდგენილია უმთავრესად სოფლის მეურნეობის ნედლეულის პირველადი დამუშავების საწარმოებით.

წარსულში ნიგერია ინგლისის კოლონია იყო. 1960 წლის ოქტომბრიდან მიიღო დამოუკიდებლობა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის შემადგენლობაში.

1963 წლის 1 ოქტომბერს ცხადდება ფედერაციულ რესპუბლიკად ერთა თანამეგობრობის შემადგენლობაში.

ყოფილი გენერალ-გუბერნატორი ნამდი აზიკივე ხდება პრეზიდენტი.

რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოა ფედერალური პარლამენტი. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს. ფედერაციული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრია აბუბაკარ ტაფავა ბალეოა. (საკდესი).

ნიგერიის პრეზიდენტი ვინეკამენ ნამდი აზიკივე

ბენჯამენ ნამდი აზიკივე დაიბადა 1904 წელს ქალაქ ზუნგერუში (ჩრდილოეთი ნიგერია) აფრიკელის — კოლონიური ადმინისტრაციის მოხელის ოჯახში. დაწყებითი სწავლა მიიღო მისიონერთა სკოლაში. დაამთავრა საშუალო სკოლა ლაგოსში, უმაღლესი განათლება მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში, სადაც სწავლობდა სამართალს, ლიტერატურას, ხელოვნებასა და ჟურნალისტიკას. 1934 წელს დაბრუნდა აფრიკაში და ჩაება აქტიურ ბრძოლაში თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

იყო ნიგერიის დიდი გაზეთის „უესტ-აფრიკან პაილოტის" გამომცემელი. არაერთხელ მიუღია მონაწილეობა აფრიკის საერთაშორისო კონფერენციებში.

1944 წელს შექმნა პარტია ნიგერიისა და კამერუნის ეროვნული საბჭო (ამჟამად ეწოდება ნიგერიის მოქალაქეთა ეროვნული კონვენტი) და მალე გახდა მისი თავმჯდომარე.

1954 წელს გახდა ნიგერიის აღმოსავლეთ ოლქის პრემიერ-მინისტრი. 1959 წელს აირჩიეს ფედერალური სენატის თავმჯდომარედ, ხოლო 1960 წელს ნიგერიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გახდა პირველი აფრიკელი გენერალ-გუბერნატორი.

1963 წელი 1 ოქტომბრიდან აზიკივე ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტია.

ქუბა შეხვდა კოსმოსის გმირს

ჰავანა, 2 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი მ. ბუზივსკი იტყობინებს:

ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე ასობით ავტომობილი და ავტობუსი ფართო, ლამაზად მორთული რაზრო ბაიერსოს ავტომაგისტრალით გუშინ გაემართა ხოსე მარტის სახელობის აეროპორტში. კუბის დედაქალაქის მცხოვრებლები — მუშები, მოსამსახურეები, მოწავლეები, სტუდენტები ემზადებოდნენ მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალის, სსრ კავშირის მოქალაქის ვალენტინა ტერეშკოვას შესახვედრად.

ცაში გამოჩნდა „ტუ-114". აეროპორტის შენობის წინ მოედანზე გამოდიან სოციალისტური რვეოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, სოციალისტური რეგოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ლიდერი, კუბის ეროვნული ავიაციის მინისტრი ალბერტო ბენიტესი, ეროვნული ეკონომიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ალბერტო ბოიანი, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი ალბერტო ალონსო, ეროვნული ინჟინერიის ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკოსთა ეროვნული ასოციაციის ინჟინერ-ტექნიკოსი ალბერტო ბეტანკურტ, ეროვნული ბანკის ეკონომისტ-ანალიტიკოსთა ეროვნული ასოციაციის ეკონომისტ-ანალიტ